ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 28 იანვარი, 2016 №22 (6948) ფასი: 50 თეთრი

გუგული მაღრაძეს კომუნისტური წარსული ამოუქექეს

ახალი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

ჯონდო ბაღათურია: „კოალიციას არჩევნების მოგება გაუჭირდება“

„ივანიშვილი სიას გვიან დაასახელებს“

ნუკრი ქანთარია საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ



ლევან ხაბეიშვილი: „ნარმანიამ მანქანების დათვლაში 40.000 ევრო გადაიხადა“

ივანიშვილმა კალაძის დაშანტაჟება დაიწყო?

გია საგარეიშვილი: „მაღალჩინოსნები ისე გადაშენდნენ გლდანიდან, როგორც დინოზავრები გადაშენდნენ დედამიწიდან“

საქართველოში ხმაური დასჯადი ხდება

ჩვენ არავის ბიზნესს არ ვუშლით ხელს

რომელ ეკონომიკურ დანაშაულს შეეხება დეკრიმინალიზაცია

ბიზნესი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელოდება

იპოთეკით დაზარალებულებს ბინები ნაცმოძრაობამ უნდა დაუბრუნოს?

ISSN 1987-9385

ახალი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

ნუკრი ქანთარია საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

მოახლოებული არჩევნების გამო მმართველ გუნდში ისედაც დაძაბული ვითარებაა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი, ისედაც გაცეცხლებულებს, ცეცხლზე ნავთი დაუსხა.

ამ ჩვენი ცოდვით სავსე სერგეი ლავროვმა 26 იანვარს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოსთან ჩახუტების სურვილი გამოთქვა. ამის გარდა, ლავროვი მზადაა, თავის ქართველ კოლეგას, მიხეილ ჯანელიძეს, შეხვდეს.

ეს განცხადებაა მეოცნებეებს ეამათ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლავროვის ინიციატივა აშშ-ს ელჩმაც მოიწონა. მისი პოზიცია კი ჩვენში ლამის კანონზე მეტია.

მაგრამ გახარებულ მეოცნებეებს ხასიათი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნუკრი ქანთარიამ, გაუფუჭა.

ნუკრი ქანთარია მიიჩნევს, რომ სერგეი ლავროვთან შესახვედრად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს საკმარისი კომპეტენცია არ აქვს.

ეს განცხადება ქანთარიამ გუშინ, 27 იანვარს, გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. დეპუტატი ვერ უარყოფს, რომ ჩვენი მინისტრი ნიჭიერია, თუმცა ის გამოცდილება, რომელიც რუსული დიპლომატიის მამასთან შესახვედრად არის საჭირო, არ აქვს.

– შეხვედრა აუცილებელია, თუმცა, არ ვიცი, ერთი ერთზე რამდენად წონიანი იქნება ბატონი ჯანელიძე. ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ის გამოცდილება არ აქვს, რომელიც სჭირდება ლავროვთან შეხვედრას. საკმაოდ კარგად უნდა ვიყოთ მომზადებული ამ შეხვედრისთვის, – განაცხადა ქანთარიამ.

ქანთარია ისურვებდა, რომ ლავროვს თედო ჯაფარიძე შეხვედროდა. მისი თქმით, ჯაფარიძე ნამდვილად სათანადოდ დაელაპარაკება რუს მინისტრს.

– საკმაოდ კარგად უპასუხა ბატონმა თედო ჯაფარიძემ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს. თედო უფრო ფრთხილი და მოზომილია ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში ისევ დიპლომატიური, მაგრამ მკვეთრი პასუხი გასცა. თედო ჯაფარიძე არის მძიმეწონიანი დიპლომატი, რომელიც შეიძლება პირისპირ დაჯდეს ლავროვთან. ის არის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, მას შეუძლია აღიჭურვოს გარკვეული უფლებებით და მონაწილეობა მიიღოს ასეთ შეხვედრებში, – აღნიშნა დეპუტატმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განცხადებას ქოცებში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ჯანელიძის კომპეტენციის დამწუნებელ ქანთარიას კოლეგებმა იქეთ დაუწუნეს კომპეტენცია.

ქანთარიას განცხადებით უკმაყოფილო დარჩა თედო ჯაფარიძეც. საპარლამენტო კომიტეტის თავკაცის თქმით, ქანთარიას საგარეო სფეროში არ აქვს სათანადო კომპეტენცია, რომ მსგავსი შინაარსის განცხადებები გააკეთოს.

– დავიწყოთ იმით, რამდენად კომპეტენტურია ბატონი ნუკრი ქანთარია, ამგვარი შეფასებები გააკეთოს. მე მის ინტელექტსა და განათლებას არ ვეხები, მე ვეხები იმ სფეროს, რომელსაც საგარეო პოლიტიკა ჰქვია, დიპლომატია ჰქვია. საქართველოში ყველა ერკვევა როგორც ფეხბურთში, ისევე დიპლომატიაში და საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ მგონია, რომ ეს მაინც ფაქიზი თემაა, – აცხადებს ქანთარიას მიერ ნაქები თედო ჯაფარიძე.

თავისი წილი უკმაყოფილება გამოხატა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემაც.

– არა მგონია, რომ ასეთი შეფასებები უნდა ყღერდეს. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი კოლეგის მიმართ რაღაც განხილვის საკითხი ვიწრო წრეში, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ საჯაროდ ასეთი განცხადებები არასწორია, – აღნიშნა უმრავლესობის ლიდერმა.

კმაყოფილი არც აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენილა. სალავროვე კომპეტენციადაწუნებული კოლეგა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა დაიცვა.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ნუკრი ქანთარია პროფესიონალ და ახალგაზრდა საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირებით ასეთ განცხადებებს აკეთებს, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა გადაცემა „20-30“-ში განაცხადა.

ხიდაშელის განცხადებით, ქანთარიას თუ ჯანელიძის კომპეტენცია არ მოსწონდა, ეს მაშინ უნდა ეთქვა, როცა პარლამენტი მთავრობას ამტკიცებდა.

– საქართველოს ჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრი იმ პოლიტიკური გუნდიდან, რომელსაც ეკუთვნის ნუკრი ქანთარია. თუ მას რამე კითხვები ჰქონდა მიხეილ ჯანელიძესთან, ამის საშუალება ჰქონდა საქართველოს პარლამენტში. მე ვფიქრობ, რომ ცოტა მეტი ფიქრი სჭირდებათ იმ პარტიაში, სადაც ეს განცხადებები კეთდება, რომ საკუთარ მინისტრებზე ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

გუგული მაღრაძეს კომუნისტური წარსული ამოუქექეს

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატ გუგული მაღრაძის განცხადებები არაერთხელ გამხდარა მასობრივი მსჯელობის საგანი. ერიც არაერთხელ შეშფოთებულა და ნაცმოძიც.

მას ბევრი რამე ამოუქექეს, ამ დღეებში კი ის კომუნისტური იდეების გატარებაში დაადანაშაულეს.

ნაციონალურმა მოძრაობამ გუგული მაღრაძის მიერ 1983 წელს დაწერილი ბროშურა მოიძია. ამ ბროშურას „ახალი ადამიანის აღზრდა და ჰარმონიული განვითარება“ ჰქვია, ის ახალი, საბჭოთა ადამიანის აღზრდისა და კომუნისტური მორალის საკითხებს ეხება.

– კომუნიზმის მშენებლობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ახალი ტიპის ადამიანი, ყოველმხრივი და ჰარმონიულად განვითარებული. არსებითი ადამიანური ძალების თავისუფალი და სრული გამოვლინება არის კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის აუცილებელი პირობა. მარქსიზმი ადამიანის პიროვნებაში ხედავს უმაღლეს ღირებულებას. წარმოების განვითარება სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნის თვითმიზანი კი არა, არამედ საშუალებაა ადამიანური პიროვნების გაფურჩქვნისა, – წერს იმ ბროშურაში გუგული მაღრაძე

როგორც ნაციონალები განმარტავენ, 30 გვერდიან ბროშურაში გუგული მაღრაძე 14-ჯერ ახსენებს ლენინს, იშველიებს ლენინის 5 ვრცელ ციტატას, 6-ჯერ ახსენებს „კომუნიზმს“, „სოციალისტურს“ – 16-ჯერ, „კომუნისტურს“ – 12-ჯერ, „მორალს“ – 53-ჯერ...

მის ლექსიკონს ამშვენებს, ასევე, „მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა“, „მარქსიზმი“, „მარქსისტული“, „ცხოვრების საბჭოური წესი“, „საბჭოთა ადამიანი“, „ბურჟუაზია“, „ბურჟუაზიული პროპაგანდა“, „ბურჟუაზიული იდეოლოგია“, „ბურჟუაზიული საზოგადოება“.

მაღრაძის კომუნისტურ იდეებზე დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა შუაგულ ევროპაში ატეხა განგაში.

მისი თქმით, მაღრაძე არის „ოცნების“ დეპუტატი, რომელიც საუბრობს ქართველი ხალხის ინტერესების დაცვაზე, ადამიანის უფლებებზე, მაშინ, როდესაც ამ ბროშურაში აქტიურად ახსენებს ლენინს და კომუნიზმს.

გიორგი კანდელაკის თქმით, ეს ბროშურა „ქართული ოცნების“ პოლიტიკას გამოხატავს.

– გუგული მაღრაძე ამ ბროშურაში ამბობს: კომუნიზმის მშენებლობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ახალი ტიპის ადამიანი, ყოველმხრივი და ჰარმონიულად განვითარებული. არსებითი ადამიანური ძალების თავისუფალი და სრული გამოვლინება არის კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის აუცილებელი პირობა. მარქსიზმი ადამიანის პიროვნებაში ხედავს უმაღლეს ღირებულებას.

როგორც მოგეხსენებათ, ქალბატონი გუგული არის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ერთ-ერთი სახე, რომელიც თავს დებს ქართველი ხალხის ინტერესების დაცვაზე, მაგრამ ეს ბროშურა გვაჩვენებს, რომ, სამწუხაროდ, მისი სახით ხელში შეგვრჩა კიდევ ერთი კომუნისტი, რომელიც ხმამაღლა, თავგამოდებით ემსახურებოდა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას. სიმბოლურია, დღესაც აქვს მე მგონი გამოსვლა ევროპული ფასეულობების შესახებ იმ დაწესებულებაში, იმ ცივილიზაციაში, რომლის კომუნიზმის მიერ დამარცხებასაც იგი წინასწარმეტყველებდა, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ნაციონალი კოლეგის აღშფოთებას ოდესღაც ლენინმადიდებელი მაღრაძეც გამოეხმაურა.

მისი თქმით, კანდელაკის ბრალდებები უსაფუძვლოა, ლენინმადიდებლობას კი იმ ეპოქით ხსნის, რომელშიც ის ცხოვრობდა.

– ეგ დაბადებული რომ არ იყო, მაშინ მქონდა მე საბჭოთა კავშირის მიმართ უარყოფითი გამოთქმები. ცოტა გამიკვირდა, ამ კვირაში კანდელაკმა რამე ისეთი არ გამოახტუნა, რომელიც საკონფლიქტო იქნებოდა, ეტყობა, ეს ჰქონდა შემონახული, ასე ვთქვათ, როგორც „ბომბა“. გავახსენებ კანდელაკს, რომ არ ვარ 25 წლის ახალგაზრდა ადამიანი. მე ვცხოვრობდი იმ ეპოქაში, რომელსაც ერქვა საბჭოთა ეპოქა და მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში საკმაოდ ძნელი იყო გარკვეული შეხედულებების გატანა, სკოლის ასაკში, მახსოვს, დირექტორი მეუბნებოდა, რაღაცას ისეთს ნუ იტყვი, უხერხულობაში არ ჩაგვაგდო. საქართველოს მთელი ისტორია არის ევროპისკენ სვლის ისტორია, – განაცხადა გუგული მაღრაძემ.

თინა ხიდაშელი: „ყველანი ერთად ვიქნებით უშიშროების საბჭოს სხდომაზე“

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველანი ერთად ვიქნებით უშიშროების საბჭოს სხდომაზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით უშიშროების საბჭოს სხდომაზე კვირის ბოლოს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, რომელიც უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასწრების თაობაზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის პოზიციას ეხებოდა, მაშინ როცა მისი წინამორბედი საბჭოს სხდომას მხოლოდ ერთხელ დაესწრო.

თინა ხიდაშელი:

– მე არ ვარ ექსპერტი, რომ შეფასებები ვაკეთო. მე შემიძლია გითხრათ, რომ რაც უშიშროების საბჭოს წევრი გავხდი, ყველა სხდომას ვესწრები და პირველი დღიდან ნათქვამი მქონდა, როდესაც ვინიშნებოდი მინისტრად, რომ ეს ჩემი სამსახურის ნაწილია.

ეს ჩემი ისეთივე საქმეა, როგორც თავდაცვის სამინისტროში მისვლა ყოველდღე, 09:00 საათზე. ამიტომ არ მგონია, რომ ამაზე სხვა რაიმე სახის კომენტარი უნდა გავაკეთო.

ეს იყო ყოფილი პრემიერის პოზიცია, მოქმედი პრემიერის პოზიცია თქვენ უკვე მოისმინეთ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით სხდომაზე კვირის ბოლოს.

თავდაცვის მინისტრი უშიშროების საბჭოს სხდომაზე მთავარი მომხსენებელია და იგი ნატოს ვარშავის სამიტის გარდა, სხდომის მონაწილეებს ავღანეთში ვიზიტის შესახებაც მიაწვდის ინფორმაციას.

– უშიშროების საბჭოს სხდომის დღის წესრიგში რამდენიმე საკითხია, მათ შორის, წინა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გადადებული საკითხი – ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ძირითადი გეგმის თუ სტრატეგიული გზავნილების დამუშავება.

მოგეხსენებათ, თებერვლის მეორე კვირაში არის თავდაცვის მინისტერიალი, ამას მოჰყვება საგარეო საქმეთა მინისტერიალი ანუ, 2016 წელი დადგა და შესაბამისად, ვარშავის სამიტისთვის მზადების ოფიციალური, ფორმალური ფაზა დაწყებულია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველანი, ვინც ამ თემაზე ვმუშაობთ, კოორდინებულ რეჟიმში ვმოქმედებდეთ.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი და ასევე, საერთაშორისო მისიებთან დაკავშირებით მექნება მოხსენება.

გასულ კვირას დავბრუნდი ავღანეთიდან და ჩვეულებრივი ამბავია, მთავარსარდალს და უშიშროების საბჭოს მოვახსენო მდგომარეობა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

უშიშროების საბჭოს სხდომა 29 იანვარს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ხაბეიშვილი: „ნარმანიამ მანქანების დათვლაში 40.000 ევრო გადაიხადა“

ივანიშვილმა კალაძის დაშანტაჟება დაიწყო?

შორენა მარსაგიშვილი



რაში გადაუხადა ნარმანიამ გერმანელებს 40.000 ევრო, რა მიზანს ემსახურება კალაძის ცოლისძმის წინააღმდეგ საქმე, როგორ „შემოიჭირა“ თბილისის საკრებულომ საახალწლოდ ქამრები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– მიმდინარე წლის დასაწყისში თბილისის მერიამ გერმანულ ფირმასთან 40.000 ევროს ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. ამ კომპანიას პეკინზე, შარტავაზე და გმირთა მოედანზე არსებული საცობების კვლევა დაევალა. მათვე უნდა გამოეძებნათ გამოსავალი და დაედოთ დასკვნა.

ჩაატარა რა კვლევა, გერმანულმა კომპანიამ დამატებითი შუქნიშნების დადგმა გვირჩია. ამაში გადავიხადეთ თბილისელებმა 100.000 ლარზე მეტი. ამ მიმართულებით თბილისში საქალაქო სამსახურები მუშაობენ და მათი შენახვა მილიონობით ლარი გვიჯდება. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუმართლებელია გერმანული კომპანიისთვის ამხელა თანხის გადახდა.

– თუ ღირებული რჩევა მოგვცეს და პრობლემა მოგვარდება, მაინც არ შეიძლებოდა ამხელა თანხის გადახდა?

– საქმეც ისაა, რომ გერმანელებს არანაირი ღირებული რჩევა არ მოუციათ. საცობების განტვირთვისთვის შუქნიშნების დამატება საკმარისი არ არის. ამ პრობლემის მოგვარება თუ გინდა, პირველ რიგში, სათანადო ინფრასტრუქტურა უნდა იყოს.

როცა ხედავ, რომ მანქანების რაოდენობა მატულობს და ეს გზები არ გყოფნის, მაშინ აუცილებელია ახალი ესტაკადების, ხიდების და გვირაბების გაკეთება. თბილისის შემთხვევაში ამ პრობლემის მოგვარება შემოვლით რკინიგზასაც შეუძლია. ამ პროექტის განხორციელება დაწყებულია, სამუშაოები შუამდეა მიყვანილი, მაგრამ ვიღაცების მოთხოვნით მოხდა მათი დაკონსერვება.

შუქნიშნებზე დადებული დასკვნები ამ საქმეს არ უშველის და ამდენი ფულის ხარჯვა დაუშვებელია. გერმანულ კომპანიასთან გაფორმებული უაზრო შეთანხმებით ჯაბა სამუშაიაც კი შეწუხდა.

– დაგმო ნარმანია?

– დაგმობით არ დაუგმია, ხელშეკრულება შეძლებისდაგვარად „გააკრავა“. მისი განცხადებით, გერმანელების მოწვევა მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ საქართველოში მსგავსი ტიპის სპეციალისტები არ გვყავს.

– რისი სპეციალისტები არ გყავს, მანქანების დათვლის?

– თურმე საქართველოში არ ყოფილა ადამიანი, რომელიც მანქანებს დათვლიდა. მანქანების დათვლას მგონი გერმანელი არ სჭირდება, ამას აქაც მშვენივრად გაართმევდნენ თავს.

– გერმანელებმა რატომ დადეს ასეთი დასკვნა, ვერ მიხვდნენ, საცობებს შუქნიშნები რომ არ უშველის?

– ჩემი აზრით, გერმანელებმა მხოლოდ ერთი მიზეზით გაგვიწიეს ასეთი კონსულტაცია. ნარმანიას მთავრობას ოღონდ ნუ ეტყვი, რომ ახალი ესტაკადა გააკეთე, ახალი ხიდი დაამატე და ყველაფერს გააკეთებენ. საცობებს ახალი გზის მეტი ვერაფერი განტვირთავს, მანქანების რაოდენობა თბილისში ყოველდღე იზრდება.

გმირთა მოედანზე და პეკინზე შუქნიშნებს თუ დადგამენ, კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეიქმნება. ამაში 100.000 ლარის გადახდა სწორი არ არის.

ჩვენ ისიც გვაინტერესებს, რატომ არ გამოაცხადეს ამ კვლევაზე ტენდერი. ისე, ცოტა არ იყოს, უხერხულია, მერია ყველაფერზე კვლევას რომ ატარებს. კვლევა თუ არ ჩაატარეს, ისე ვერ უნდა მიხვდნენ, როგორ განტვირთონ საცობი? თუ საკვლევად და ექსპერიმენტების ჩასატარებლად არიან მოსულები, მაშინ პირდაპირ გვითხრან. დარწმუნებული ვარ, 2016 წელიც მეცნიერულ კვლევებში გაივლის.

– ნარმანიას მიდრეკილებები მეცნიერებისადმი ივანიშვილმაც შენიშნა და განაცხადა, ეგ უფრო მეცნიერიაო.

– გასაგებია, რომ მეცნიერია, მკვლევარია და კიდევ ენჯეოშნიკია, მაგრამ თბილისელები რა ვალდებულები ვართ, მის კვლევებში ასეულობით ათასი ვიხადოთ. ეს ფული, უმჯობესია, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობაში დაიხარჯოს.

მიმდინარე წელს არც ერთი ახალი ხიდის, არც ერთი ახალი გზის ან შემოვლითი გზის მშენებლობა არ იგეგმება. პირიქით, საგზაო მიმართულებით ბიუჯეტი შემცირებულია. თუ გასულ წელს ამ მიმართულებაზე 85 მილიონი იყო, ახლა 78 მილიონია. 2016 წელს თბილისელებს კიდევ უფრო დიდ საცობებში მოუწევთ ყოფნა და ეს იქნება მანამდე, სანამ მკვლევარი ნარმანია იქნება მერი.

– ამასთან დაკავშირებით საკრებულო რას ფიქრობს? ზემოთ ჯაბა სამუშაის წუხილი ახსენეთ და იქნებ ვიღაცა მართლა შეწუხდეს ამ საცობებით.

– დედაქალაქის საკრებულოში ამ ეტაპზე „ქამრების შემოჭერით“ არიან დაკავებული. ლარის გაუფასურებას ისინი პრემიებით და დანამატებით ებრძვიან. ამ საყოველთაო გაჭირვებაში, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირები მაღალი პრემიების და დანამატების გამოწერას არ ერიდებიან.

– მაგალითად?

– გასული წლის დეკემბრის თვეში საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე 366.000 ლარის პრემია გაიცა. მათი ყოველთვიური სარგო 245.000 ლარს შეადგენს. გამოდის, რომ პრემია ხელფასის 130%-ის ოდენობით მიიღეს. ამას დაამატეთ 113.000 ლარის დანამატი.

ეს იმ დროს ხდება, როცა ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. ახალი წლის დღეებში 2 ადამიანი გაიყინა. ამ პირობებში უხერხულია, რომ საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირები დანამატებს იღებენ.

შტატგარეშე თანამშრომლებისთვის დეკემბრის თვეში 48.000 ლარი გამოიყო. შტატგარეშეები ძირითადად მაჟორიტარების ბიუროების თანამშრომლები არიან. პრემიებსა და დანამატებზე დეკემბრის თვეში ნახევარ მილიონზე მეტია გაცემული.

– მოდით, ისევ მერიას დავუბრუნდეთ. მერიის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსის გიორგი არეშიძის წინააღმდეგ აღიძრა საქმე. ამასთან დაკავშირებით „მედიატორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გივი კუბლაშვილიც დაიკითხა. ამაზე რას ფიქრობთ? ამ საქმის გამოძიებას თქვენ ითხოვდით.

– ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი 26 იანვარს დაიბარეს დაკითხვაზე მოდულის შენობაში. სუსმა გივი კუბლაშვილი კახა კალაძის ცოლისძმის საქმეზე დაკითხა. საქმე 372-ე მუხლით არის აღძრული.

გიორგი არეშიძის წინააღმდეგ სარჩელი ჩვენ შევიტანეთ პროკურატურაში. საქმე ეხება შაორის ახალგაზრდულ ბანკს, რომლის მოსაწყობად არეშიძემ თავის მეგობარს გაუფორმა 95.000 ლარის ხელშეკრულება.

ამ მიმართულებით მერიის აუდიტის სამსახურსაც ჰქონდა შენიშვნები.

გამოძიება ამ ეტაპზე სწორი მიმართულებით მიდის. ახლა გამოძიების ბოლომდე მიყვანას ველოდებით. დასაწყისი კარგია, მაგრამ ეს იქნება პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიება.

– პოლიტიკურად მოტივირებული რატომ?

– იმიტომ, რომ ამას „ქართულ ოცნებაში“ კახა კალაძის წინააღმდეგ გამოიყენებენ.

– რანაირად გამოიყენებენ?

– საქმე მივა რაღაც დონემდე და როცა იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაშინ დადგება არეშიძის პასუხისმგებლობის საკითხი.

– ეს რა შემთხვევაში მოხდება?

– წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება. „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას წერს. ყველა ლიდერი ცდილობს, სიაში თავისი ხალხი ჩასვას. ამ მხრივ გამონაკლისი არც კახა კალაძეა. ივანიშვილმა გადაწყვიტა, ამ ხერხით ერთხელ და სამუდამოდ, კიდევ უფრო მყარად ჩაიდოს კალაძე ჯიბეში და მასზე ზემოქმედების მექანიზმი ჰქონდეს.

ნათესავებით მანიპულირება და მათი დახმარებით ხალხის დავერბოვკება პოსტსაბჭოთა სივრცეში კარგად გამოცდილი მეთოდია. რუსი ოლიგარქი ამ მეთოდზე უარს ვერ იტყოდა. კალაძე თუ გაბედავს დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმას, მის ცოლისძმას დაიჭერენ. ივანიშვილი ვიცეპრემიერს ამით აშანტაჟებს.

ხელისუფლება სამხედრო მოსამსახურეების ხმის მიცემის წესს არსებითად არ ცვლის

სამი არასამთავრობო ორგანიზაცია: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სპეცუნბენებთან დაკავშირებით პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავენ.

ამასთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ ხელმძღვანელმა მიხეილ ბენიძემ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები სამხედრო მოსამსახურეების ხმების მიცემის წესს არსებითად არ ცვლის.

როგორც საია-ს ხელმძღვანელმა, ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, აღნიშნული ცვლილებით უქმდება სპეციალური უბნების შექნის შესაძლებლობა სამხედრო ნაწილებში და უფრო დეტალურად განისაზღვრება სამხედრო მოსამსახურეთა არჩევნებში მონაწილეობის ცალკეული საკითხი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, მისივე თქმით, ამის მიუხედავად, ხელისუფლების პროექტი არსებითად ვერ ცვლის სამხედრო მოსამსახურეების მიერ არჩევნებში მონაწილეობის კუთხით არსებულ პრობლემას.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განმარტავენ, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მათი დისლოკაციის ადგილას არ არიან რეგისტრირებული, კვლავ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარული სისტემით გამართულ არჩევნებში, რითაც აღნიშნული კატეგორიის პირთა ხმებით შესაძლო მანიპულაციის რისკები ისევ რჩება.

– შემოთავაზებული მოდელით, კვლავ დარჩება რისკები, თუკი სამხედროებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარულ არჩევნებში, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

ვინაიდან სპეციალური უბნების შექმნა ყოველთვის წარმოადგენდა საკამათო საკითხს, აღნიშნულმა სამმა ორგანიზაციამ წლების წინ შეიმუშავა რეკომენდაციები და აპირებენ, ეს რეკომენდაციები საკანონმდებლო ინიციატივის სახით პარლამენტში წარადგინონ.

არასამთავრობოების ინიციატივის მიხედვით, სამხედრო ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ან იმ სამოქალაქო საარჩევნო უბნების მეშვეობით, რომელიც დისლოკაციის ადგილთან ახლოს მდებარეობს.

– ამ კუთხით დადებითად ვაფასებთ წარმოდგენილ ინიციატივას. რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობას, ჩვენი რეკომენდაციით, მსგავსად სპეციალურ სიაში შეყვანილი პირებისა, სამხედრო მომსამსახურე არ უნდა სარგებლობდეს მაჟორიტარულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უპირატესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოს მონაწილეობა მაჟორიტარულ არჩევნებში, თუ მისი დისლოკაციის ადგილი იმ საარჩევნო ოლქის საზღვრებშია, რომელშიც ის არის რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, – მიიჩნევენ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

როგორც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ ხელმძღვანელმა მიხეილ ბენიძემ აღნიშნა, მათი კანონპროექტი არ ახდენს ხმის უფლების შეზღუდვას არავისთვის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა კი განაცხადა, რომ ეს რეკომენდაციები შექმნილია მათი გამოცდილების გათვალისწინებით, ვინაიდან ისინი წლებია აკვირდებიან არჩევნების მიმდინარეობას და იციან, რა პრობლემებია სპეცუბნებთან დაკავშირებით.

არასამთავრობოების ხელმძღვანელები ხელისუფლებას მოუწოდებენ გადახედოს საკუთარ ინიციატივას და სამხედრო მოსამსახურეების არჩევნებში მონაწილეობის კუთხით არსებითი ხასიათის ცვლილებები განახორციელოს.

ინტერპრესნიუსი

ალეკო ელისაშვილი ანასტასია ზაუტაშვილს ადვოკატს აუყვანს

ალეკო ელისაშვილი ანასტასია ზაუტაშვილს ადვოკატს აუყვანს შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი მსჯავრდებულ ანასტასია ზაუტაშვილს კვალიფიციური ადვოკატის აყვანასა და მისი წამების საქმის გამოძიების დაჩქარებას დაპირდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუს“ ალეკო ელისაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, 22 იანვარს, რუსთავის ქალთა საპატიმროში ანასტასია ზაუტაშვილი მოინახულა.

ელისაშვილის ინფორმაციით, შეხვედრა ზაუტაშვილის სურვილით შედგა და ოთხი საათი გაგრძელდა.

ელისაშვილის განცხადებით, შეხვედრის დღეს ანასტასია ზაუტაშვილი შიმშილობდა. გუშინ კი ზაუტაშვილი კვლავ დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ შიმშილობა შეწყვიტა.

ელისაშვილის თქმით, ანასტასია ზაუტაშვილი მისი წამების ფაქტზე გამოძიების დაჩქარებას და ასევე ვიდეოჩანაწერის ავთენტურობის დადგენას ითხოვდა.

ალეკო ელისაშვილი:

– ანასტასია ზაუტაშვილის განცხადებით, ის და მასთან ერთად დაკავებული ოთხი ადამიანი იყვნენ სასტიკად ნაწამები. ამ ფაქტზე გამოძიება არ მიმდინარეობს, შეჩერებულია. ის ასევე ითხოვს ვიდეოჩანაწერის ავთენტურობის დადგენას. ექსპერტიზის ჩატარებას. ის აცხადებს, რომ ვიდეოჩანაწერში ფრაზები კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი.

მისივე თქმით, სურს ანასტასია ზაუტაშვილს დაეხმაროს მისი წამების ფაქტის გამოძიების დაჩქარებაში, რისთვისაც კვალიფიციური ადვოკატის მოძებნას დაპირდა.

– სწორედ ამიტომ შეწყვიტა მან შიმშილობა. პროკურატურაში ვეცდები, რომ დაჩქარდეს მისი წამების ფაქტის გამოძიება. ასევე უნდა დაჩქარდეს ფარული ვიდეოჩანაწერის ექსპერტიზა აუდიო ავთენტურობის დასადგენად.

მე ვეცდები, კვალიფიციური და სინდისიერი ადვოკატი მოვუძებნო, ისეთი ადვოკატი, რომელიც რეალურად ახალი გარემოებების აღმოჩენას ეცდება საქმეში და სასამართლოს გზით ივლის. არ გამოიყენებს მის საქმეს პოლიტიკური სპეკულაციისთვის, როგორც სხვა მისი ადვოკატები ცდილობდნენ, – აღნიშნა ელისაშვილმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

გია ცაგარეიშვილი: „მაღალჩინოსნები ისე გადაშენდნენ გლდანიდან, როგორც დინოზავრები გადაშენდნენ დედამიწიდან“

„პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული პოლიტიკოსების დრო დამთავრდა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **გია ცაგარეიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრემიერი კვირიკაშვილი წინამორბედის ტრადიციას არ გააგრძელებს, რაც საარჩევნო წლის დამსახურებაა.

– ბატონო გია, 29 იანვარს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომა დანიშნა. მას პრემიერი კვირიკაშვილიც დაესწრება. ეს მისი კეთილი ნებაა?

– ეს არის უფრო საარჩევნო წლის დამსახურება. ხელისუფლებაში მიხვდნენ, რომ ასეთი სახის დაპირისპირება პრეზიდენტის ინსტიტუტსა და პიროვნულად მარგველაშვილთან „ქართულ ოცნებას“ სიკეთეს არ მოუტანს. მით უფრო, არ მოუტანს ხმებს. რაც მთავრობის მიერ კეთდება დღეს, მე ამას აღვიქვამ საარჩევნო პოპულიზმის ჭრილში. შეხვედრები ოპოზიციასთან, არასამთავრობო სექტორთან, თითქოსდა ურთიერთობების დათბობა პრეზიდენტთან – ამას მე დიდი ოპტიმიზმით ვერ შევხვდავ.

– რატომ, გამორიცხავთ პრემიერის გულწრფელ სურვილს, რომ ურთიერთობები გამოასწოროს და ჩატეხილი ხიდები აღადგინოს?

– მე ამას ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვაცხადებ. ჩემი ძალიან ნეგატიური გამოცდილებიდან ხელისუფლებასთან ურთიერთობის. ურთიერთობების საბოლოო დათბობა პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შეუძლებელია.

– რატომ?

– ეს არ არის პრეზიდენტ მარგველაშვილი ბრალი, ეს არის „ქართული ოცნების“ ბრალი. იმ ადამიანების ბრალი, რომლებიც ფორმალურად თუ არაფორმალურად მართავენ მთავრობას, კოალიციას, უყალიბებენ მას პოლიტიკურ გემოვნებას. საუბარია ბიძინა ივანიშვილზე, რომელიც აქტიურად იქნება წინასაარჩევნო ბატალიებში ჩართული, რა თქმა უნდა, „ოცნების“ მხარეს.

– ბიძინა ივანიშვილმა ღიად გაანაცხადა, რომ ის მიიღებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას და საარჩევნო სიასაც დააკომპლექტებს.

– ბიძინა ივანიშვილი იქნება საარჩევნო კამპანიის ფორმალური ლიდერი. თუ ის ასე საჯაროდ გამოჩნდება, მაშინ ჩვენ მისი გამონათქვამები სხვანაირად უნდა შევაფასოთ.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში გააკეთა განცხადება, რომ პრეზიდენტთან ნიშნისმოგებით საუბარი უნდა დასრულდეს. ამას ბატონმა ბიძინამ უპასუხა, ბატონო გიორგი, ასე არ არის საქმეო, არავინ მისცემს კვირიკაშვილს შესაძლებლობას, რომ მარგველაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში დატოვოსო.

თუ ბატონი კვირიკაშვილი იქნება პრინციპული და წინ აღუდგება კოალიციის რეალური ლიდერის ამგვარ მოსაზრებებსა და შემოტევებს, მაშინ შესაძლებელია, რომ მართლაც გადადგას პრემიერმა ქმედითი ნაბიჯები და ეს სამარცხვინო კამპანია და დაპირისპირება წარსულს ჩაბარდეს.

– შეიძლება სწორედ ასე განვითარდეს მოვლენები და კვირიკაშვილი გახდეს დამოუკიდებელი ლიდერი?

– რთული სათქმელია, დაველოდოთ, გააგრძელებს თუ არა კვირიკაშვილი ამ გენერალურ ხაზს, რაც მან დაიწყო, მე ვიტყოდი, კარგად დაიწყო. რასაკვირველია, მივესალმები მის ინიციატივას, რომ დიალოგი იყოს ყველა ჯგუფთან. ეს აუცილებელია ამ ქვეყნის კონსოლიდაციისთვის.

საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. იმის ნაცვლად, რომ ამ გამოწვევის წინაშე უმაღლესი თანამდებობის პირები კონსოლიდირებულები იყვნენ, ვხედავთ, რომ ახალი დაპირისპირება მწიფდება, თუ ვინ უნდა დაესწროს ოპერის გახსნას, რომ თურმე ოპერაში პრეზიდენტის ადგილი არ არის, ვინ რომელ ლოჟაში უნდა განთავსდეს და ა.შ.

როდესაც ქვეყნის შიგნით ასეთი ჰარიჰარალე დამოკიდებულებაა ინსტიტუციებისადმი, ვერ მოვთხოვთ უცხოელ პარტნიორებს, ცივილიზებული დამოკიდებულება ჰქონდეთ ჩვენ მიმართ.

– საარჩევნო სია გახდება დაპირისპირების საფუძველი „ქართულ ოცნებაში?“

– არ მგონია, რამე დაპირისპირება იყოს. რასაც განსაზღვრავს ბატონი ბიძინა, ისე იქნება. კი უნდა კოალიციაში ზოგიერთ პარტიას მიიღოს იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნის, მაგრამ მე ეს ნაკლებად მადარდებს. მეტიც, საერთოდ არ მაღელვებს, მე მაღელვებს ის, რასაც ახლა ვხედავ, ამ წუთში.

გლდანის რაიონში ვიმყოფები, როდესაც თქვენ გესაუბრებით, დავდივართ ბაზრობებზე, მეტროსადგურებში, ბაზრებში და რაც ადგილზე დაგვხვდა, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ირგვლივ საშინელი სიღარიბე და სიდუხჭირეა. ხალხი გამოუვალ მდგომარეობაშია და ამას თვითონ ამბობენ. ამ ადამიანებს ხელი აქვთ ჩაქნეული და მომავლის იმედი აღარ აქვთ, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა.

იმედგაცრუება და ნიჰილიზმი არის ყველაზე დიდი მტერი სახელმწიფოს მომავლის. ხალხი ჩივის, რომ არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი, არც საკრებულოს წევრი, არც პარლამენტის წევრი, არც მერიის წარმომადგენელი მათთან არ ყოფილა.

მე მგონი, მაღალჩინოსნები ისე გადაშენდნენ გლდანიდან, როგორც თავის დროზე დინოზავრები გადაშენდნენ დედამიწიდან. ხელისუფლება მოწყვეტილია მშობლიურ ხალხს, იმ ხალხს, რომელმაც მათ უბოძა მანდატები საკრებულოში, პარლამენტში.

– თუმცა, მანდატები და საარჩევნო სიები ამ არჩევნებზეც აქტუალური იქნება.

– ვინც დღეს მანდატებისთვის იბრძვის და საუბრობს, ფიქრობს, რომ მათ მანდატებზე გადის ამ საზოგადოების კეთილდღეობა, ამაში ძალიან ცდებიან. მოვა დრო, როდესაც ხალხი ასეთ პოლიტიკოსებს უარს ეტყვის. პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული პოლიტიკოსების დრო დამთავრდა.

ამ ადამიანებს აინტერესებთ, საკუთარი შვილები როგორ გამოკვებონ, ლუკმაპურის ფული როგორ იშოვონ და არა ის, რესპუბლიკელებს რამდენი კვოტა ექნებათ „ქართულ ოცნებაში“ ან ფორუმი სად იქნება მომავალ არჩევნებზე.

რატომ არ დადიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რატომ არ დადიან ქუჩებში?! 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს როდესაც დაივიწყებ, როდესაც სახალხო ხელისუფლება იყავი და ამას დაივიწყებ, და არ გინდა ადამიანებს ქუჩაში მიესალმო, ხელი ჩამოართვა, შეუძახო, გაამხნევო, რა თქმა უნდა, არავინ დაგიჯერებს, არავინ ირწმუნებს შენსას. თუ დაივიწყებ, შენც დაგივიწყებენ. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა.

საქართველოში ხმაური დასჯადი ხდება

ხმაური შესაძლებელია დასჯადი გახდეს – შესაბამისი კანონპროექტი დედაქალაქის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თედო კობახიძის ავტორობით პარლამენტში უკვე შესულია.

კანონპროექტი რეგისტრაციაში მიღების შემდეგ საკომიტეტო მოსმენებსა და კენჭისყრას გაივლის. მისი მიღების შემთხვევაში, ხმაური, რომელიც ზღვარს გადასცდება, ადმინისტრაციული წესით დასჯადი მიმდინარე წლის 1-ელი სექტემბრიდან გახდება.

კანონპროექტის შინაარსისა და მიზნების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ თედო კობახიძეს ესაუბრა.

თედო კობახიძე:

– ხმაურთან დაკავშირებით დღეს არნაირი აკრძალვა არ მოქმედებს. მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს, თუმცა არ არსებობს არანაირი სანქცია და ეს კონტროლი შესაბამისად, ქმედითი არ არის. ზედამხედველობის სამსახური გადის გამოძახებაზე, თუმცა იგი მხოლოდ ფაქტის კონსტანტირებას ახდენს.

საპატრულო პოლიციაც მხოლოდ ფაქტს ადასტურებს, რომ ვიღაც აჭარბებს დადგენილ ზღვრულ ოდენობას, რაც ჯანდაცვის კომიტეტის მიერ და საერთაშორისო ნორმებით არის დადგენილი.

თუმცა, ვერც საპატრულო პოლიცია ვერ ახორციელებს რაიმე ღონისძიებას და მხოლოდ და მხოლოდ ოქმის შედგენა ხდება, რომ ესა თუ ის პირი ზღვრულ ნორმას აჭარბებს – სანქციის არარსებობის გამო ვერც ფიზიკური და ვერც იურიდიული პირი ვერ ჯარიმდება.

– რა შემთხვევაში მოხდება პირის დაჯარიმება და რა ოდენობით? რამდენი დეციბილი ითვლება ხმაურად?

– ჩვენი კანონპროექტის საფუძველზე გამიჯნულია დღის და ღამის საათები. დღის საათებად ითვლება 07 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდი, ღამის კი მოიცავს 23:00 საათიდან 07:00 საათამდე პერიოდს.

თუ შენობაში შემომავალი ხმაური გადაცდება ზღვრულ ოდენობას ანუ დღის საათებში 30 დეციბილს და ღამის საათებში 40 დეციბილს, ფიზიკური პირი დღის საათებში, პირველ ჯერზე, 150 ლარის ოდენობით, ხოლო ღამის პერიოდში 300 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

რაც შეეხება იურიდიულ პირს, ჩვენი კანონპროექტის საფუძველზე დარღვევა დღის განმავლობაში გამოიწვევს სანქცირებას, პირველ ჯერზე, 500 ლარის, ხოლო ღამის საათებში 1000 ლარის ოდენობით.

ერთი წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში ჯარიმები გაორმაგდება.

– როდიდან უნდა ველოდოთ ხმაურთან დაკავშირებული რეგულაციების ამოქმედებას?

– ამოქმედებას ველოდებით 2016 წლის 1-ელი სექტემბრიდან. მანამდე ჩვენ ერთწლიანი მუშაობა გავწიეთ. მოსახლეობა აბსოლუტურად ინფორმირებულია, რომ მზადდება აღნიშნული კანონპროექტი.

სოციოლოგიური კომპანია „ეი-სი თის“ კვლევაც ადასტურებს ამას, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულთა 87% საქმის კურსში იყო, რომ კანონპროექტი მუშავდებოდა, ხოლო 84% კანონპროექტის მიღებას მიესალმება.

ყველაზე მეტი განცხადება, რაც მე საკრებულოში ვარ, შემოსულია სწორედ ხმაურთან და ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

– რა დამოკიდებულება აქვთ ბარების და რესტორნების მფლობელებს კანონპროექტთან დაკავშირებით და ხომ არ ფიქრობენ, რომ ამან შეიძლება მათი ბიზნესი დააზარალოს?

– ჩვენ არავის ბიზნესს არ ვუშლით ხელს. დღეს უკვე არსებობს ისეთი ტექნოლოგიები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დაწესებულების ისე იზოლირება, რომ ხმაურმა სხვას არ შეუშალოს ხელი, რომ არ შეწუხდნენ ოჯახები, განსაკუთრებით კი ის ოჯახები, რომლებსაც სახლში ჰყავთ ბავშვი, მოხუცი, ავადმყოფი და ა.შ. ხალხს უნდა დასვენება და ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა, რომელშიც სხვამ არ უნდა შეუშალოს ხელი.

უამრავი დასკვნა არსებობს, თუ როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე განგრძობითი ხმაური. ბიზნესი სხვისი ჯანმრთელობის ფასად არ უნდა კეთდებოდეს.

ჩვენ გვერდით, მეზობელ თურქეთში, საკურორტო ზონაში, სადაც 24-საათიანი გართობაა, ტექნოლოგიები ისეა მოწყობილი, რომ ღია ბარში არსებული ხმამაღალი მუსიკა ბარის გარეთ არ გადის და სხვას ხელს არ უშლის.

ჩვენ არ ვიგონებთ ახალ ველოსიპედს, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს სტანდარტებთან ეს კანონპროექტი აბსოლუტურად თანხვედრაშია.

– კანონპროექტით როგორ არის განსაზღვრული, ვინ მოახდენს რეაგირებას გადაჭარბებულ ხმაურზე?

– მოქალაქე 112-ში განახორციელებს ზარს. 112 გადაამისამართებს ზარს საპატრულო ეკიპაჟებთან და საპატრულო ეკიპაჟი, რომელიც იქნება შესაბამისი აპარატით აღჭურვილი, გაზომავს სახლში შემომავალ ხმაურს.

ჩვენ გვქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საუბარი. აღნიშნული უწყება მზად არის შიდა ასიგნებებიდან გამოყოს თანხები და ყოველი მესამე საპატრულო ეკიპაჟი აღიჭურვოს ხმაურმზომი აპარატით. მომავალში კი აღნიშნული აპარატი ყველა საპატრულო ეკიპაჟს დაურიგდება.

– რეგულაციებთან დაკავშირებით ხომ არ იგეგმება მოსახლეობის დამატებით ინფორმირებულობა?

– დაახლოებით ერთი წელი მიდიოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება. 1-ელ სექტემბრამდე, ვიდრე რეგულაციები ამოქმედდება, ამ პროცესს განვაგრძობთ. ამასთან, დაგეგმილია საპატრულო ეკიპაჟების გადამზადება, რასთან დაკავშირებითაც შსს-ს აკადემიას შესაბამისი მზადყოფნა აქვს.

ინტერპრესნიუსი

ალეკო ელისაშვილი ანასტასია ზაუტაშვილს ადვოკატს აუყვანს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეწყალების კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა საუბრისას ასევე განაცხადა, რომ ანასტასია ზაუტაშვილმა მასთან საუბრისას ისევ არ დაადასტურა კობახიძისა და ბესელიასთვის ფულის მიცემის ფაქტი. აღნიშნულის გარდა, ზაუტაშვილი ელისაშვილს მისი საქმის რეალურ გარემოებებზე ესაუბრა.

ალეკო ელისაშვილი:

– ოთხი საათი ვსაუბრობდით. ვუთხარი, რომ პირადად მე მასთან პრეტენზიები არ მქონდა. ვუთხარი, რომ ამ კორუმპირებულ პოლიტიკოსებთან მქონდა პრეტენზიები და არა პირადად მასთან.

ზაუტაშვილის ადვოკატი იყო მანანა კობახიძე და მისი ძმაც, ბოლოს მირიან ნიკოლაძე და სხვები. ეს ხალხი ცდილობდნენ, რომ თავის სასარგებლოდ ან პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოეყენებინათ ანასტასია ზაუტაშვილი და სხვებიც მას უყურებდნენ, როგორც სერიოზული თანხის გადამხდელს.

ელისაშვილმა განაცხადა, რომ ზაუტაშვილის ახალ ადვოკატს მალე დაასახელებს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ერთ-ერთ ადვოკატთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ანასტასია ზაუტაშვილი ერთ-ერთია, რომელიც ე.წ. კოკაინის საქმეზეა დაკავებული, ეს კი ის საქმეა, რომელთან დაკავშირებითაც ალეკო ელისაშვილი ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანს მასზე ზეწოლაში ადანაშაულებს. კერძოდ, როგორც შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ რამდენიმე თვის წინ განაცხადა, მას ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულთა შეწყალების მოთხოვნით კონკრეტული თანამდებობის პირები მუქარის შემცველ სმს-ებს უგზავნიდნენ. ელისაშვილის აღნიშნული განცხადების საფუძველზე გასული წლის ბოლოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიებაც დაიწყო.

ინტერპრესნიუსი

გრიპის გამო თბილისის ბაგა-ბაღებში საღამოზრდელო პროცესი შეწყდა

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, სააღმზრდელო დაწესებულებებში გრიპის შემთხვევების მატების გამო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი რამდენიმე დღის განმავლობაში შეჩერდება.

სააგენტოს ცნობითვე, სააღმზრდელო დაწესებულებებში პროცესი 28 იანვარს შეწყდება და 1-ელ თებერვალს განახლდება.

– თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ითვალისწინებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციას, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში გაცდენების მაჩვენებელი 20%-ს აღემატება, პრევენციის მიზნით სწავლა მინიმუმ, რამდენიმე სამუშაო დღის განმავლობაში უნდა შეწყდეს.

სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეწყდეს 2016 წლის 28 იანვარს და განახლდეს ამავე წლის 1-ელ თებერვალს, – ნათქვამია საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განცხადებაში.

ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით სწავლის პროცესი 395 სკოლაშია შეწყვეტილი.

სწავლის პროცესი 200 სკოლაში დიდთოვლობის გამოა შეჩერებული, 195-ში კი – ვირუსის გამო.

თბილისში სასწავლო პროცესი 26 სკოლაშია შეჩერებული.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის განცხადებით, სამინისტრო მუდმივად აწარმოებს მონიტორინგს მოსწავლეების დასწრებასთან დაკავშირებით.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ იმ სკოლებში, სადაც გაცდენების საშუალო მაჩვენებელი 20 პროცენტს აჭარბებდა, დროებით შეჩერებულიყო სასწავლო პროცესი. განათლების სამინისტრო აგროვებს მონაცემებს, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილებები. გუშინდელთან შედარებით ასეთი სკოლების რაოდენობამ მოიმატა, თუმცა ეს არ არის საგანგაშო რიცხვი. შესაბამისად, დღის განმავლობაში, იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მონაცემები, მიიღება გადაწყვეტილებები იმ სკოლებში, სადაც 20 პროცენტზე მეტია გაცდენის მაჩვენებელი, რომ დროებით შეჩერდეს სასწავლო პროცესი, – განაცხადა ლია გიგაურმა.

ნიუსპრესი

ჯონდო ბაღათურია: „კოალიციას არჩევნების მოგება გაუჭირდება“

„ივანიშვილი სიას გვიან დაასახელებს“

ნონა ცაბაძე

„ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** დადებითად აფასებს პრემიერ-მინისტრისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრას.

– კარგია, რომ ეს დიალოგი დაიწყო, თუმცა რამე განსაკუთრებული ოპტიმიზმი არ გამჩენია. არ ვფიქრობ, რომ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით რაიმე ცვლილებები განხორციელდება. მთავარია, რომ დაიწყო დიალოგი ჩვენსა და ხელისუფლებას შორის და ამ დიალოგის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობა, თუმცა ჩვენ არანაკლებ გვაფიქრებს ზოგადად საარჩევნო გარემო, რომელიც არ არის კონკურენტული. ამიტომ დიალოგი ამ მიმართულებითაც იქნება წარმართული. ის, რომ გარემო იყოს კონკურენტული, დამოკიდებულია არა მხოლოდ ხელისუფლებაზე.

– კიდევ ვისზეა დამოკიდებული?

– ჩვენზეც. ჩვენც უნდა დავძლიოთ საკუთარი ამბიციები და შევძლოთ კონსოლიდაცია. თუ საზოგადოებას შევთავაზეთ ხელისუფლების ალტერნატივა, ძლიერ კონკურენციას გავუწევთ ხელისუფლებას.

– ეს შეხვედრა ხომ არ დარჩება შეხვედრა შეხვედრისთვის თუ რეალურად შეიცვლება რამე?

– მე არა მგონია, რომ ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობას სტრატეგიაში აქვს ცვლილება, მან აღადგინა დიალოგი ოპოზიციასთან.

– ესეც წინასაარჩევნოდ ხომ არ სჭირდება?

– შესაძლოა, მაგრამ მაინც ეს არის სწორი გადაწყვეტილება. ღარიბაშვილის მთავარი შეცდომა იყო სწორედ დიალოგის არქონა. ეს ყოველთვის შეცდომაა. თუ დიალოგზე არ მიდის ოპოზიცია, ეს არის ოპოზიციის შეცდომა, თუ ხელისუფლება არ მიდის, ხელისუფლების შეცდომაა.

– ივანიშვილის ფაქტორზე რას იტყოდით?

– მას დიდი გავლენა აქვს ამ მთავრობაზე, ამ პარლამენტზეც და „ქართული ოცნების“ შემადგენლობაზეც. მომავალშიც ექნება ეს გავლენა. ივანიშვილი არის ამ კოალიციის ლიდერი.

– ივანიშვილის ფული განაპირობებს ამ გავლენებს?

– ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „ქართულ ოცნებაზე“ მისი გავლენები მხოლოდ ფულით არ არის განპირობებული. „ოცნების“ საქმე მაინცდამაინც კარგად არ მიდის, ივანიშვილი რეიტინგის ერთადერთ წყაროდ რჩება. ამიტომ მისი რეიტინგი არის მისი გავლენის საშუალება ამ კოალიციაზე. ის ამ კოალიციის ფორმალური ლიდერიც არის და არაფორმალურიც. ამიტომ ლიდერს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სიის ფორმირებაში.

– ყველა მოუთმენლად ელის „ოცნების“ სიას. თავად კოალიციაშიც ციებ-ცხელებაა. როგორ ფიქრობთ, ბევრი მათგანი ველარ მოხვდება ამ სიაში?

– როგორც ჩანს, ბევრი ვერ მოხვდება, რადგან ბევრმა ვერ გაამართლა მოლოდინები. „ოცნებაში“ სიებზე საუბარი ცოტა ნაადრევად დაიწყეს. შესაძლოა, მუშაობა მართლაც მიდის სიებზე, თუმცა არ მგონია, რომ ივანიშვილმა სიები ასე ადრე გაასაჯაროოს. სიები ცნობილი გახდება მაქსიმალურად გვიან.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ თუ სიები გახდება ცნობილი ახლა, ეს შეიტანს დესტაბილიზაციას უმრავლესობის შემადგენლობაში.

– სწორედ უმრავლესობის წევრები მოითხოვენ, რომ დროულად მოხდეს სიების გასაჯაროება. ამ კუთხით ყველაზე მეტად რესპუბლიკელები შფოთავენ.

– ეს არის ბუნებრივი ინტერესი უმრავლესობის წევრების. მათ აინტერესებთ საკუთარი პოლიტიკური მომავალი. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუმცა ისიც გასაგებია, რომ ივანიშვილი მაქსიმალურად დააგვიანებს სიების მათთვის გაცნობას. ამ კუთხით ცოტა არაადეკვატურები არიან რესპუბლიკელები.

– რას გულისხმობთ?

– რესპუბლიკელების სრულიად არაადეკვატური მადა და არაადეკვატური ამბიციები ყოველთვის იყო განხეთქილების შემომტანი. ასე მოიქცნენ ისინი გაერთიანებული ოპოზიციის დროს და ასე იქცევიან ახლაც. რესპუბლიკელებს თუ გაემიჯნება ივანიშვილი, კოალიცია გაცილებით მეტ ხმას აიღებს.

– თუმცა ბევრის მოსაზრებაა, რომ სწორედ რესპუბლიკელები არიან წამყვანი ძალა კოალიციაში.

– რესპუბლიკელები ეყრდნობიან ივანიშვილს და სწორედ ივანიშვილზე დაყრდნობით აქვთ ეს გავლენა კოალიციის შიგნით.

– ივანიშვილი შემოვა ღიად პოლიტიკაში, ჩაუდგება სიას სათავეში თუ კვლავ კულისებში დარჩება?

– მისი გადასაწყვეტია, ჩაუდგება თუ არა სიას სათავეში. თუმცა, თუ არ იქნა რადიკალური რეფორმა, თუ კოალიციამ ახალი სახეები არ შესთავაზა საზოგადოებას, ამ სახით, როგორც დღესაა, გაუჭირდება არჩევნების მოგება. ამ ახალ სახეებს კი იქ არ ეძებენ, სადაც უნდა ეძებდნენ. დღეს ქართულ პოლიტიკას და ქართულ სახელმწიფოს სჭირდება გამოცდილი პოლიტიკოსები, ვისაც აქვს პოლიტიკის წარმოების გამოცდილება და ვისაც აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის, დებატების წარმოების უნარი.

– პოლიტიკურ პროცესებთან ერთად იძაბება ეკონომიკური სიტუაციაც. საუბარია, რომ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს საარჩევნო წელი. ეკონომიკურად რამდენად მძიმე წელი გველის?

– ეკონომიკური თვალსაზრისით არის უმძიმესი მდგომარეობა და ამან განაპირობა უმძიმესი სოციალური ფონი. ამ ფონს კიდევ უფრო ამწვავებს ქვეყანაში შექმნილი მონოპოლიები.

ამ მონოპოლიებმა შეაფერხეს ქვეყნის განვითარება. განსაკუთრებული მონოპოლიაა ენერგეტიკულ და ფარმაცევტულ ბაზრებზე. ჩვენ სახეზე გვაქვს შეთანხმება მონოპოლისტებს შორის, რათა არ მოხდეს ფასების დაწევა. ჩვენთან, წამლებზე ფასები არის 400 და 800%-ით უფრო მაღალი, ვიდრე თუნდაც ჩვენს მეზობელ თურქეთში. ეს ყველაფერი კი ოლიგარქების გარიგების შედეგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება.

იპოთეკით დაზარალებულებს ბინები ნაცმოძრაობამ უნდა დაუბრუნოს?

მარიამ მჭედლიშვილი

ვალებში ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქეების საკუთარი ბინებიდან გამოსახლების პროცესი ისეთი ინტენსიურობით აღარ მიმდინარეობს, როგორც წინა ხელისუფლების დროს.

თუმცა, უამრავია ოჯახი, რომელიც თავშესაფრის გარეშე დარჩა იმის გამო, რომ დროულად ვერ გადაიხადა ვალი. ამ ადამიანებს ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო მევახშეების ვალი ჰქონდათ და აქვთ.

მოვალეებს რეალურ დახმარებას ჰპირდებოდა „ქართული ოცნება“. ჯერჯერობით, რაც ამ მხრივ შეიცვალა, ისაა, რომ დავალიანების გამო ოჯახს მყისიერად ვერ გამოაგდებენ ქუჩაში.

გამოსახლებულებს სახელმწიფო ვერაფერს შველის. ამ სიტუაციის მოწესრიგების მიზნით წინადადებები არაერთხელ გამოითქვა. პარლამენტში ამ პრობლემით დაკავებულია დეპუტატთა ჯგუფი. თუმცა, ეს დეპუტატები არაერთხელ გამხდარან თავდასხმის ობიექტი ზოგიერთი ექსპერტისა და მევახშის მხრიდან.

– წინა რეჟიმის დროს ეს პოლიტიკური ელიტის ბიზნესი იყო, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი მირიან მირიანაშვილი, რომელმაც საზოგადოებას ამ კატეგორიის დაზარალებულებთან დაკავშირებული ინიციატივები გააცნო.

მისი თქმით, სააკაშვილის დროს მიმდინარეობდა ქონების გადანაწილება. ამაში ნაციონალების ხელმძღვანელებმა და დანაშაულებრივად მათთან შეკრულმა მევახშეებმა მოაქციეს საბინაო ფონდიც. მოხდა მილიარდობით დოლარის საცხოვრებლის ამოღებამითვისება.

მირიან მირიანაშვილი:

– ეს იყო ქვეყნის საყოველთაო ძარცვის შემადგენელი ნაწილი. სააკაშვილი პირადად აკონტროლებდა იმას, როდის რამდენი ოჯახი უნდა გამოესახლებინათ ვალების გამო.

ამ პროცესის რეგულირება მან ერთ კაცს დაავალა სახელმწიფო კანცელარიაში. ის კურირებდა, რომ ერთდროულად ორი ოჯახის გამოსახლება არ მომხდარიყო ერთი კორპუსიდან, ან უბანში ერთდროულად რამდენიმე მოვალეს არ მისდგომოდნენ გამოსასახლებლად. 2008 წელს, სააკაშვილის განკარგულებით, ამოღებული ბინების გასხვისება შეწყდა. ამის გამო მევახშეებს უამრავი ბინა დაუგროვდათ.

პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ გამოსახლებამ არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ ერთი მევახშის ძალადობრივი მოქმედებების შედეგად 18 კაცი დაიღუპა.

მირიან მირიანაშვილის შეფასებით, სააკაშვილის ინიციატივით ისეთი კანონები იქნა მიღებული, რომლებმაც მაქსიმალურად გააადვილა მოქალაქეებისთვის ბინების ჩამორთმევა. ეს იყო კანონები, რომლებმაც საქართველო ქვის ხანაში დააბრუნა. განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთი რამ წარმოუდგენელია. არადემოკრატიულ რუსეთშიც კი მოსახლეობამ საბინაო ფონდის 1%-ზე ნაკლები დაკარგა. საქართველოში ეს მაჩვენებელი საგანგაშოა და 18%-ს შეადგენს.

მისი ინფორმაციით, ირანში ყოფნისას ის გახდა იმის მოწმე, თუ როგორ აინტერესებდა სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოში ჩამორთმეული საცხოვრებელი ფართით ირანელ და არაბ ინვესტორებს. ეს იმის მანიშნებელია, რომ იგი ხელს უწყობდა საქართველოს მოსახლეობის საქართველოდან აყრას.

მირიან მირიანაშვილის მოსაზრებით, სააკაშვილის მიერ საქართველოში ნაძარცვ ქონებაში დიდია საბინაო წილიც. სამართლიანობის აღდგენის მიზნით სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ეს ფული უნდა დაუბრუნონ. საქართველოს მოქალაქეებს უნდა დაუბრუნდეს ბინები. ამ საკითხების დასარეგულირებლად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია.

– თუ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, მაშინ ეს უნდა მოხდეს. არსებობს უკანონოდ წაღებული ქონების დაბრუნების ფაქტები სხვა სახელმწიფოებში, – აღნიშნავს მირიან მირიანაშვილი.

იან კელი: „რუსეთთან კონტაქტების აღდგენა საქართველოს გადასაწყვეტია“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, იან კელის განცხადებით, საქართველო და ამერიკა ტერორიზს ერთად უპირისპირდებიან.

იან კელი აღნიშნულით პანკისის ხეობასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც ელჩი აღნიშნავს, ის პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას ენდობა, რომ პანკისის ხეობაში სიტუაცია კონტროლის ქვეშაა.

– საქართველო და აშშ ერთად დგანან და ერთად უპირისპირდებიან ტერორიზმს. გუშინ მოსკოვში გაკეთებული განცხადება მოვისმინეთ. ამასთან დაკავშირებით მოვიშველიებდი იმ სიტყვებს, რომელიც გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნის. მან განაცხადა, რომ სიტუაცია კონტროლქვეშ არის და ჩვენ ამაში საქართველოს მხარს სრულად ვუჭერთ, – აცხადებს კელი.

რაც შეეხება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, იან კელის თქმით, ის პრაგმატული ურთიერთობების მომხრეა და მხარს უჭერს ჟენევისა და კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკებების ფორმატს.

– კონტაქტების აღდგენას რაც შეეხება, ეს თავად საქართველოს გადასაწყვეტია. ჩვენ მივესალმებით პრაგმატულ მიდგომას და არსებული არხების გამოყენებას, რომელიც არსებობს ინფორმაციის გაცვლისა და დიალოგისთვის. ეს გახლავთ ჟენევის ფორმატი და აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები. ჩვენ საქართველოს ამ მხრივ მხარს ვუჭერთ, – განაცხადა იან კელიმ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ პერიოდულად ვრცელდება ცნობა, თითქოს ისლამისტები რეგიონს საწრთვნელ ბაზად იყენებენ.

გარდა ამისა, სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსული მხარე საქართველოსთან დიალოგის დასაწყებად მზად არის.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რომელ ეკონომიკურ დანაშაულს შეეხება დეკრიმინალიზაცია

ბიზნესი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელოდება

წინა წლებში დაახლოებით 300 ათასი კაცი გასამართლდა, აქედან 80% – ეკონომიკური დანაშაულისთვის.

ასეთია დანაშაულის სტატისტიკა, რომელზეც განცხადება პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რეფორმის მნიშვნელობას, რომელიც ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს.

ამ დროისთვის რეფორმის დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, რომელ მუხლებს შეამსუბუქებს ხელისუფლება ეკონომიკური დანაშაულის მიმართულებით და სად ჩაანაცვლებს პატიმრობას სხვა სასჯელით. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსგავს დარღვევებზე წინასწარი პატიმრობა აღარ იარსებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროექტების მენეჯერი გია გვილავა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ რეფორმასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით მცირე ცნობები არსებობს, მაგრამ ზოგადად მის არსს მიესალმებიან.

მისი თქმით, არ შეიძლება წინასწარი პატიმრობა ყველა დარღვევის შემთხვევაში გამოიყენებოდეს, რაც წინა წლებში დამკვიდრებული ცუდი პრაქტიკა იყო.

გია გვილავას განცხადებით, ამ მხრივ სიტუაცია არც ახლაა სახარბიელო, ამიტომ კარგი იქნება, თუ ხელისუფლება მიდგომას შეცვლის და პროკურატურა გააანალიზებს, რომ ყველა შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა არასწორია.

– მივესალმებით ამ მიდგომას, თუმცა, საინტერესოა, რა დანაშაულების დეკრიმინალიზაცია მოხდება, რადგანაც ეკონომიკური დანაშაულის კარში არის ძალიან ბევრი მძიმე და სახიფათო ქმედებები, რომელთა დეკრიმინალიზაციასაც ვერ მიესალმება ჯანსაღი ადამიანი, მათ შორის ისეთი დანაშაულებიც არის, როგორიცაა სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებებით ვაჭრობა. თუმცა, არის გარკვეული მუხლები, რომლებზეც შეიძლება ლოიალურად მიდგომა, – აცხადებს გია გვილავა.

მისივე თქმით, რეფორმის მიზანი სტაბილური ბიზნესგარემოს შექმნა უნდა იყოს და ბიზნესმა უნდა იცოდეს, რა მოელის, თუ კანონს დაარღვევს.

– მეწარმეებისთვის უკეთესია, იცოდნენ, რა პრაქტიკა არსებობს ქვეყანაში მცირე დანაშაულისთვის და იცოდნენ, რომ ზედნადების გარეშე ტვირთის ტრანსპორტირებისთვის წინასწარ პატიმრობაში არ მოხვდებიან. მაგრამ წინასწარ პატიმრობას თავისი მნიშვნელობა აქვს, ეს ზომა გამოიყენება მაშინ, როდესაც ბრალდებული გავლენას ახდენს მოწმეებზე, შეუძლია დოკუმენტების განადგურება და ა.შ. – აღნიშნავს გვილავა.

მისივე შეფასებით, დღეს არსებობს ზოგიერთი ტიპის დანაშაული, რომლის დროსაც პატიმრობა, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს გამოყენებული და პრევენციის მექანიზმად ჯარიმაც გამოდგეს.

ხომ არ წაახალისებს კანონის ლოიალურობა არაკეთილსინდისიერ ბიზნესმენებს? გვილავა ამბობს, რომ თუ მოხდება დანაშაულების მასობრივად დეკრიმინალიზაცია, ამის რისკი არსებობს, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ წინასწარი პატიმრობის პრაქტიკის შეცვლამ ასეთი შედეგი გამოიღოს.

იურისტი იმედა დვალიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია დადებითად იმოქმედებს იმ ადამიანების ქცევაზე, ვისაც პატარა დარღვევები აქვს და ამის შესახებ ინფორმაციას მალავს.

დვალიძე მიიჩნევს, რომ ლიბერალური კანონმდებლობა ხელს შეუწყობს „გადამალული თანხების“ გამოჩენას.

მისი თქმით, სახელმწიფომ გარკვეული მექანიზმი უნდა შეიმუშაოს, მაგალითად, როგორიც არის იარაღის ჩაბარების შემთხვევაში – თუ იარაღს ჩააბარებ, არ დაგიჭერ.

– არათუ ისეთ დანაშაულზე, რომელიც არის ფინანსური და ეკონომიკური ხასიათის, არამედ ყაჩაღობაზეც კი ევროპის რიგ ქვეყნებში დაახლოებით სამჯერ ნაკლებია სასჯელი. გასაგებია, რომ ისინი სხვა საფეხურზე არიან, მაგრამ მაინც. ძალიან ლოიალურად უდგება ამას ევროპის სისხლის სამართლის პოლიტიკა და ზოგადად ევროპის სამართალი, – აცხადებს დვალიძე.

* * *

რეფორმას მხარს უჭერენ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებიც.

კომპანია „ალბატროსის“ დამფუძნებლის, დავით ბეგიაშვილის, შეფასებით, ყველანაირი ჰუმანური აქტი, რომელსაც ხელისუფლება მიიღებს, მისასალმებელია.

მისი განცხადებით, ეჭვმიტანილს წინასწარ პატიმრობაში ნაკლები შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ თუნდაც საპროცესო შეთანხმება შესთავაზოს სახელმწიფოს.

ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციაზე საუბარი უკვე წლებია მიმდინარეობს. ეს თემა გასულ წელს ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გააააქტიურა და აღნიშნა, რომ ის ე.წ. თეთრი საყელოს დამნაშავეების წინასწარი პატიმრობის წინააღმდეგია.

გასული წლის ივნისში მან აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ კანონმდებლები დააჩქარებენ პროცესს და მომავლისთვის ამ პრინციპს კანონი დაარეგულირებს.

სალომე მეცხვარიშვილი,
კომერსანტ.გე

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობაზე 6 კანდიდატია წარდგენილი

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობაზე 6 კანდიდატია წარდგენილი.

ამის შესახებ გუშინ, 27 იანვარს, გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა.

როგორც აბაშიშვილმა აღნიშნა, 27 იანვარს დასრულდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატისშერჩევის ღია პროცესის მორიგი ეტაპი, კერძოდ, კანდიდატურების წარდგენა.

მისი თქმით, ამჯერად წარდგენილია 6 კანდიდატი:

გიორგი ფაილოძე, არჩილ იაკობაშვილი, გიორგი ბაქარაძე, თემო ჭეიშვილი, მაია მელიქიძე და კობა გვენეტაძე.

– დღეს მექნება საშუალება, რომ კანდიდატები უკვე გადავუგზავნო ექსპერტებს განსახილველად. ექსპერტები კანდიდატებს განიხილავენ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით. ესენია – პროფესიული განათლება, პროფესიული კვალიფიკაცია და პოლიტიკური მიუკერძოებლობა.

ექსპერტებთან განხილვის შემდეგ უკვე მომდევნო კვირაში მე მექნება კომუნიკაცია კანდიდატებთან, რის შემდეგაც კანდიდატები და ექსპერტთა შეფასებები უკვე წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, – განაცხადა აბაშიშვილმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრ გიორგი ქადაგიძეს თებერვლის ბოლოს უფლებამოსილების ვადა ეწურება.

საბჭოში მისი შემცვლელის შერჩევას პრეზიდენტის ადმინისტრაცია კონსულტაციების საფუძველზე ცდილობს.

ბიბიენი

ქუმსიშვილი: „ობიექტები, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელია, მაქსიმალურად გაყიდულია“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა, გასული წლის პრივატიზაციის შედეგებზე ისაუბრა.

როგორც ქუმსიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, ის ობიექტები, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელია, მაქსიმალურად გაყიდულია.

– 290 მილიონი ლარის პრივატიზება მოხდა შარშან, საიდანაც 190 მილიონი იყო მარტო ქონების პრივატიზება. პრაქტიკულად ყველა ობიექტი, რომელიც გაყიდვადი იყო, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროს შენობა, გაიყიდა. ეკონომიკის სამინისტროს შენობა გაიყიდა 9.5 მლნ დოლარად, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, ჩვენ არ უნდა გავყიდოთ ობიექტები, თუ ეს ობიექტები იყიდება სახელმწიფოს საზიანოდ.

– ის ობიექტები, რომელთა გაყიდვაც არის შესაძლებელი, მაქსიმალურად გაყიდულია. 2.500-ზე მეტი აუქციონი ჩატარდა, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, პრივატიზაციის ეფექტი რამდენიმეგვარია.

– პირველი არის, რომ ყიდვის მომენტში შემოდის ძირითადად უცხოელი ინვესტორი ან ადგილობრივი იღებს სესხს და, შესაბამისად, შემდეგ ახდენს კონვერტაციას, რაც იმ კონკრეტულ მომენტში ეხმარება ლარის სტაბილურობას. პროექტის განვითარების კვალდაკვალ ხდება ინვესტიციების განხორციელება, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილი) წარმოებაშია №2-1477-15 სამოქალაქო საქმე, მერაბ სულაბერიძის განცხადებისა გამო, ავტომობილის უპატრონოდ ცნობისა და საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. განმცხადებელია მერაბ სულაბერიძე მცხოვრები მისამართი: ქ. რუსთავი, მე-8 მკრ, 2-39.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ქონებაა: ავტომობილი RANGE ROVER, საიდენტიფიკაციო ნომერი ძარის ნომერი – *SALLHAMM8GA441425*, ფერი სავარაუდოდ რუხი, გამოშვების წელი სავარაუდოდ 1990, სავარაუდოდ შემოყვანილია უცხოეთიდან ქვეყანა უცნობია, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები/ტრანზიტული ნომრები-არ გაჩნია, საქართველოში რეგისტრირებული არ არის, განბაჟების შესახებ ინფორმაცია უცნობია, სავარაუდო მესაკუთრე იყო ვინმე მამუკა, ნასყიდობის დადების სავარაუდო თარიღია 1997 წელი.

ავტომობილი განმცხადებლის განმარტებით ამჟამად გაჩერებულია განმცხადების მისამართზე ეზოში. ავტომანქანის მეპატრონე, რომლის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება ავტომანქანაზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს შესაბამისის საბუთის დედანიც.

ვახტანგ ყოლბაია: „სოხუმის ბიზნესწრეებმა შეიძლება უფრო გაბედულად ითანამშრომლონ თბილისთან“

რა შედეგები მოაქვს ჟენევის ფორმატს

გულიკო ბალაძე

ჩუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჟენევის მოლაპარაკებები დადებითად შეაფასა. რა შედეგები გვაქვს ჩუსებთან, აფხაზებთან და ცხინვალელ ოსებთან ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებების თვალსაზრისით? ამ საკითხებზე „ახალ თაობას" აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ ხართ ერთ-ერთი ოფიციალური პირი საქართველოს მხრიდან, რომელიც მონაწილეობთ ჟენევის მოლაპარაკებებში. თქვენ როგორ აფასებთ ამ მოლაპარაკებებს და როგორ აღიქვით ლავროვის განცხადება?

– ჟენევის ფორმატი არის ის ერთადერთი ფორმატი, ერთადერთი პლატფორმა, სადაც გვიხდება ურთიერთობა ჩვენს ოპონენტებთან. აფხაზებთან, რუსეთთან, მაგრამ მათთან ერთად არიან ჩვენი მეგობრები, საერთაშორისო თანამეგობრობა, ყველაზე მაღალი რანგის წარმომადგენლობა საერთაშორისო დონეზე. ამიტომ ჩვენთვის ჟენევის ფორმატს მნიშვნელობა აქვს.

– ანუ დადებითი შედეგები არის?

– კონკრეტული შედეგები, მაგალითად, დევნილთა დაბრუნების საკითხზე, რომელიც ერთ-ერთი მთავარია ჩვენთვის, პრაქტიკულად ჩიხშია.

– ყველა ამბობს, რომ შედეგის თვალსაზრისით ჟენევის მოლაპარაკებები არაფერს იძლევა.

– პრინციპში ერთ წრეზე ტრიალებს ეს მოლაპარაკებები. კონკრეტული შედეგი დაბრუნების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც დაინტერესებული ვართ, რომ წინ წაიწიოს.

– რა საკითხებია ეს?

– მე მახსოვს მოლაპარაკებები გაეროში თუ სხვაგან. შემდეგ კი მიღწეულ შედეგებზე ჩვენი დელეგაცია აქ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა, ამას მივაღწიეთ და იმას მივაღწიეთ, ვაიძულეთ სოხუმი და აფხაზები, ეს გაეკეთებინათ, ის გაეკეთებინათო. ამას მონაწილე მხარეები წაიკითხავდნენ და შეთანხმება უკან მიჰქონდათ.

– ზოგადად რომ ვთქვათ?

– არის რაღაც საკითხები, სადაც ჩვენ რაღაცას ვაღწევთ. ეს არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები. თუ არ იქნება შეთანხმება სოხუმთან, იქ ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში. ერთობლივი შეთანხმებით იქ იტალიიდან სპეციალისტი იყო ჩასული, რომელმაც დაათვალიერა რამდენიმე კულტურული ძეგლი. მათ შორის, ბედია, ლიხნი.

– ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზეც არის მოლაპარაკებები?

– ეკონომიკური პროექტების თაობაზე მოლაპარაკებები მძიმედ მიდის. არის რაღაც წინაპირობა, რომ დაინტერესება გაჩნდეს სოხუმში. ამას თავისი ახსნა აქვს. ახლა რუსეთი სოხუმს ვერ ეხმარება. ვერც ბიუჯეტი ივსება, მატერიალური მხარდაჭერითაც არ გამოირჩევიან. მოსკოვს თვითონ აქვს სერიოზული პრობლემები თავისი უშუალო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ამიტომ შეიძლება პატარა თავისუფლება მისცეს სოხუმს, რომ სოხუმის ბიზნესწრეების წარმომადგენლებმა უფრო გაბედულად ითანამშრომლონ საქართველოს ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან.

– ჟენევის მოლაპარაკებები რუსეთისთვის დადებითი რატომ არის, როცა რუსეთს არ მოსწონს მოლაპარაკებები საერთაშორისო სუბიექტების მონაწილეობით?

– რუსეთს არ უნდა, ყველა ფრონტზე გამოიყურებოდეს დესტრუქციულ ძალად. ყველგან არასახარბიელო დიპლომატიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ჩვენც გვაწყობს აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობა. ეს ნათელი წერტილია რუსეთისთვის, რომელიც ემთხვევა ჩვენს ინტერესებს. ამიტომ რუსეთს არ უნდა, ჩაშალოს ჟენევის მოლაპარაკებები.

– რუსეთ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, აფხაზებს უარი ათქმევინეს თურქეთიდან საქონლის შეტანაზე. ეს დადებითი მომენტია ჩვენთვის თუ უარყოფითი?

– პირველ რიგში, ხალხი ზარალდება. აფხაზეთში 18% თურქეთს უჭირავს. ამიტომ ის რაოდენობა ხალხისა, რომელიც ამით საზრდოობდა, იჩაგრება. აფხაზური მხარე ცდილობს, ამით ტრაგედია არ შექმნას. ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ ამ შეფასებებში.

– აფხაზებს შეუძლიათ კომპენსაცია ჩვენი ლილოს ბაზრობიდან საქონლის წაღებით.

– აფხაზები კიდევაც დადიან ლილოში.

– რუსებისგან ხიფათი ყოველთვის მოსალოდნელია. ჟენევის მოლაპარაკებები 1993 წლიდან მიმდინარეობს, მაგრამ მაინც მივიღეთ 2008 წლის ომი.

– სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა კონფიგურაცია და სხვადასხვა მიზანი ჰქონდა ამ მოლაპარაკებებს.

– ლავროვი შეეცადა რუსეთის დანაშაული დაემალა და განაცხადა, თითქოს რუსეთი ჩვენს კი არ გვებრძვის, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია კი არ მოახდინა, არამედ განხეთქილების ვაშლი მხოლოდ აღიარებაა, რომელიც 2008 წლის აგრესიას მოჰყვა.

– ჩვენ იძულებული გავხდით, გვეღიარებინაო.

– ლავროვმა ყველაფერი საკაშვილის პოლიტიკას გადააბრალა.

– ცხადია, არანაკლები როლი ითამაშა საკაშვილის ხელისუფლებამაც. ახლა რუსეთი ცდილობს, არ დაწვას ყველა ხიდი. თუმცა, ის მათრახისა და თაფლის პოლიტიკას ატარებს.

– მთავარია, ჩვენ გვქონდეს ისეთი პოლიტიკა, მათრახი არ დავირტყათ.

– ვფიქრობ, ამ მიმართულებით დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია და პოლიტიკა საკმაოდ მოზომილი და შედეგიანია.

სამართალი

ფირცხალავამ და ცააძემ დნმ-ის ნიმუშები არ აიღებინეს

კორტების საქმეზე მსჯავრდებულებს, ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძეს იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დნმ-ის ნიმუშები მოსთხოვეს, რის აღებაზეც მათ უარი განაცხადეს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ე.წ. მატროსოვის ციხეში მათთან გამომძიებლები რამდენიმე დღის წინ სწორედ დნმ-ის ნიმუშების აღების მიზნით იმყოფებოდნენ.

ირაკლი ფირცხალავას ადვოკატმა, მალხაზ ველიჯანაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენციას გამართავს და მისი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან დნმ-ის ნიმუშის აღების შესახებ უარის თქმის მოტივზე ვრცლად ისაუბრებს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დნმ-ის ნიმუშების აღებაზე ფირცხალავამ და ცააძემ უარი განაცხადეს, „ინტერპრესნიუსს“ იური ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმაც დაუდასტურა.

მისი განმარტებით, პროკურატურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე სხვა პირების მხრიდან შესაძლო დანაშაულის დადგენის მიზნით აგრძელებს გამოძიებას.

მოსიაშვილის შეფასებით, ფაქტი, რომ ფირცხალავა და ცააძე დნმ-ის ნიმუშის აღებაზე უარს ამბობენ, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის ხელის შეშლაა.

გაგი მოსიაშვილი:

– ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე პასუხისგებაში მიეცა გია სოსანაშვილი, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დანაშაულში სხვა პირებიც მონაწილეობდნენ.

სწორედ კონკრეტული პირების დადგენის მიზნით, მთავარ საქმეზე გრძელდება გამოძიება. ჩემთვის ცნობილია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, ირაკლი ფირცხალავამ და გიორგი ცააძემ უარი თქვეს დნმ-ის ნიმუშების აღებაზე, რაც წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ხელის შეშლას, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გია სოსანაშვილს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯა.

* * *

– ირაკლი ფირცხალავას და გიორგი ცააძეს არ განუმარტეს, რისთვის სჭირდებოდათ მათი დნმ-ის ნიმუშები, სწორედ ამ მოტივით განაცხადეს მათ უარი ანალიზის აღებაზე, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებულის, გიორგი ცააძის დამ, ირინა ცააძემ განუცხადა.

მისი თქმით, მსჯავრდებულებს მხოლოდ ის უთხეს, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქების საქმეზე სჭირდებოდათ მათი დნმ, თუმცა გამომძიებლებს დეტალები არ განუმარტავთ.

ამასთან, ირინა ცააძის თქმით, ფირცხალავა და გიორგი ცააძე ოფიციალურ განჩინებას ითხოვენ და ამის შემდეგ აიღებენ ნიმუშს.

ირინა ცააძე:

– ირაკლი ფირცხალავა ამ საქმეზე მოწმის სახით, დაახლოებით ერთი წლის წინ დაკითხეს. გიორგი ცააძის დაკითხვა კი, ახლა მოხდა. ერთი წელი არაფერი გაუკეთებიათ და ახლა მოითხოვეს მათი დნმ.

ჩვენ ამას ზეწოლას ვუკავშირებთ. ფირცხალავა და ცააძე ითხოვენ ოფიციალურ განჩინებას დნმ-ის ნიმუშის აღების შესახებ, რის შემდეგაც ამ საგამოძიებო მოქმედებას დასთანხმდებიან.

ირინა ცააძე

ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულებს, ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძეს იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დნმ-ის ნიმუშები მოსთხოვეს, რის აღებაზეც მათ უარი განაცხადეს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ე.წ. მატროსოვის ციხეში მათთან გამომძიებლები რამდენიმე დღის წინ სწორედ დნმ-ის ნიმუშების აღების მიზნით იმყოფებოდნენ.

ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულის, ირაკლი ფირცხალავას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი ამ თემაზე დღეს კომენტარს არ აკეთებს.

ინტერპრესნიუსი

მანანა ვაზაგაშვილი: „იურის მკვლელობის უკან ცააძე და ფირცხალავა დგანან“

მანანა ვაზაგაშვილი

– 90%-ით ვარ დარწმუნებული, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის უკან ცააძე და ფირცხალავა დგანან, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იური ვაზაგაშვილის დამ, მანანა ვაზაგაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულების, ირაკლი ფირცხალავას და გიორგი ცააძის მხრიდან დნმ-ის ნიმუშების აღებაზე უარი, მოწმობს, რომ ისინი იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დანაშაულთან კავშირში არიან.

მანანა ვაზაგაშვილი:

– იური ვაზაგაშვილის მკვლელობის პირველივე დღეს ვამბობდი, რომ ეჭვი ფირცხალავასა და ცააძეზე მაქვს. 90%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ასეა.

9 წლის განმავლობაში, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ, იური სულ ფირცხალავას და ცააძეს ასახელებდა.

ყველა სტატიასა და ინტერვიუში მათ დანაშაულზე მიუთითებდა და ამბობდა, რომ კორტებთან სპეცოპერაცია ფირცხალავამ დაგეგმა და საკონტროლო გასროლა ცააძემ განახორციელა. ეს ზურას საქმეზე, მოწმეებმაც დაადასტურეს.

ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულებს, ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძეს იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დნმ-ის ნიმუშები მოსთხოვეს, რის აღებაზეც მათ უარი განაცხადეს.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ასადის არმიამ ლატაკიის პროვინციაზე კონტროლი დაამყარა

ალ-რაბიას აღებით დასრულდა ოპერაცია, რაც ლატაკიის პროვინციაზე ასადის არმიის კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა.

ლატაკიაში უმრავლესობას ალავიტები შეადგენენ. ასადიც ალავიტებს განეკუთვნება, ამიტომაც ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ მალე ლატაკიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებენ.

შემთხვევითი როდია, რომ რუსული ბაზაც სწორედ ლატაკიაშია განთავსებული.

– გათვლა, რომ რუსული ავიაციის დახმარებით ასადი სწრაფ გამარჯვებას მიაღწევდა, არ გამართლდა. ახლა კრემლი ლატაკიის შენარჩუნებას შეეცდება, სადაც რუსული ბაზებია განთავსებული, – ამბობს ინგლისელი ექსპერტი იტონი.

მისი აზრით, მოლაპარაკებები სირიაში კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე გაიწელება. რეალობაში კი გვექნება შემდეგი სურათი: ლატაკიის პროვინციას, სადაც რუსული ბაზაა განთავსებული, ასადის არმია გააკონტროლებს, სხვაგან ან ზომიერი ანტიასადური ოპოზიციის მებრძოლები იქნებიან ან ისლამისტები.

– სირიის ომის დამთავრებაზე საუბარი ნაადრევია და ეს რუსეთის ჩარევამ გამოიწვია, – ამბობს ექსპერტი.

ლავროვი: „ასადისთვის პოლიტიკური თავშესაფარი არ შეგვითავაზებია“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა პრესკონფერენციაზე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვმა სირიის დიქტატორ ასადს პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა.

ლავროვმა თქვა, რომ ასეთი ვარიანტი არც კი განიხილებოდა.

– ჩვენ ერთადერთი მიზანი გვამოძრავებს: სირიაში მშვიდობის დამყარება. თუკი ასადი გადადგება ან ქვეყანას დატოვებს, ეს შეუძლებელი გახდება, – თქვა ლავროვმა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სირიაში ქურთებმა მნიშვნელოვანი მასტაბილიზებელი როლი ითამაშეს. ქურთების წინააღმდეგ აქტიურად გამოდის თურქეთი, რომელიც მათ ქურთების მუშათა პარტიის სირიულ ფილიალად აღიქვამს.

– თურქეთის პოზიცია აშკარად დესტრუქციულია! ეს კონფლიქტის დარეგულირებას ხელს არ უწყობს, – ამბობს ლავროვი.

მინისტრი რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობასაც შეეხო. მან აღნიშნა, რომ ინფორმაცია, რომ რუსეთი ანტიდასავლური პოლიტიკის გატარებას აპირებს, საფუძველს მოკლებულია.

– ჩვენ ევროპასა და აშშ-სთან კონსტრუქციული თანამშრომლობა გვსურს, თუმცა ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც უნდა შეეგუონ იმას, რომ რუსეთი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს, – ამტკიცებს ლავროვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დონბასის პრობლემასაც შეეხო. მან კვლავ გაიმეორა ძველი თეზისი იმის თაობაზე, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნიათ, ამიტომ უკრაინამ დონბასის განსაკუთრებული სტატუსი უნდა აღიაროს.

– სხვაგვარად მინსკის პროცესი ჩაიშლება, მშვიდობაც ვერ დამყარდება, – დაასკვნა ლავროვმა.

ობამა: „მცირეწლოვანთა ცალკე საკანში გამომწყვდევა დაუშვებელია“

აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ სურს, მცირეწლოვან დამნაშავეთა ცალკე საკანში გამომწყვდევა აკრძალოს. ობამა თვლის, რომ ასეთი ზომა პატიმრის ფსიქიკურ აშლილობას იწვევს:

– ამერიკას სამართლიანად უწოდებენ მეორე შანსის ქვეყანას. პიროვნებას, რომელმაც სასჯელი მოიხადა და გამოსწორების გზას დაადგა, მუდამ ეძლევა საშუალება, სრულფასოვანი მოქალაქე გახდეს, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის წესები, რაც დღეს ამერიკულ ციხეებშია გამეფებული, პატიმარს ამ მეორე შანსს უსპობს. ციხიდან ავადმყოფი, მოტეხილი ადამიანი გამოდის.

განსაკუთრებით ფაქიზი თემაა არასრულწლოვან დამნაშავეთა საკითხი, რომელიც ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

– არასრულწლოვანთა უმრავლესობა, რომელიც გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოხვდა, ხშირ შემთხვევაში ჩამოუყალიბებელ პიროვნებას წარმოადგენს. მათი ცალკე საკანში გამომწყვდევა ფსიქიკაზე დამთრგუნველად მოქმედებს. შედეგად ვიღებთ ან ფსიქოპათს, ან ლოთს, ან პიროვნებას, რომელიც გაბორტებულია და მზადაა, მხეცური, შიზოიდური დანაშაული ჩაიდინოს! – თქვა ობამამ.

ჯონ ქერი ჩინეთში ჩავიდა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ჩინეთში ჩავიდა.

მოლაპარაკებების მთავარი თემა ჩრდილოეთ კორეის მიერ წყალბადის ბომბის დამზადებაა. ყურადღება გამახვილდება მეორე პუნქტზეც – ეს ჩინეთს, ვიეტნამსა და ფილიპინებს შორის არსებული ტერიტორიული დავაა.

ქერი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ის ვიზიტის წარმატებაში დარწმუნებულია.

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

ევროკავშირის ქვეყნები სასაზღვრო კონტროლს ამკაცრებენ

ევროკომისიამ უფლება მისცა შენგენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს, რომ საზღვარზე კონტროლი გააძლიერონ.

ევროკომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს დროებითი ნაბიჯია და ორ წელზე მეტხანს არ გაგრძელდება.

– სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია! სხვაგვარად მიგრანტების უკონტროლო შემოსვლას წინ ვერ აღვუდგებით! – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინაში მორიგი რუსი ჯაშუში დააკავეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა დნეპროპეტროვსკში რუსი ჯაშუში დააკავა.

დაპატიმრებულის ვინაობა არ ხმაურდება.

ტელეკომპანია „ინტერის“ ცნობით, დაკავებული შინაგანი ჯარის ყოფილი ოფიცერია, რომელმაც მოსკოვში შსს-ს უმაღლესი აკადემია დაამთავრა და დნეპროპეტროვსკში რუსული აგენტურული ქსელის სრულყოფა სურდა.

ექსპერტები ამას უკრაინის დესტაბილიზაციის გეგმებს უკავშირებენ, რომლის განხორციელებასაც მოსკოვი მიმდინარე წლის გაზაფხულ-ზაფხულში შეეცდება.

თანახმად ამ გეგმისა, ანტიუკრაინული გამოსვლები მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, მათ შორის დნეპროპეტროვსკშიც უნდა მოხდეს. რუსი მსტოვარიც ქალაქში აგენტურული ქსელის სრულყოფას ცდილობდა.

რუმინეთი მზადაა, მოლდოვას დაეხმაროს

ბუქარესტში მოლდოვის ახალი პრემიერი პავლე ფილიპი ჩავიდა. ის თავის რუმინელ კოლეგას დაჩიან ჩოლოშს შეხვდა.

მოლაპარაკებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება. რუმინეთი მზადაა, მოლდოვას დაეხმაროს, თუმცა დაჩიან ჩოლოშმა თავისი პირობებიც წამოაყენა:

– მოლდოვამ ძირეული რეფორმები უნდა გაატაროს. უწინარეს ყოვლისა, ეს კორუფციასთან ბრძოლასა და მთელი მართლმსაჯულებითი სისტემის რეორგანიზაციას შეეხება, – თქვა ჩოლოშმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

კალათბურთი: თასის 3 ნახევარფინალისტი ცნობილია

ქუთაისი – რუსთავი 66:71
(23:17; 14:19; 10:20; 19:15)

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზურისთვის ქუთაისში სათამაშოდ რუსთავი ჩავიდა. დებულების თანახმად, წლევანდელი გათამაშების პლეი ოფში გამარჯვება ერთ მოგებამდეა და ქუთაისში

გამართული შეხვედრის მოგებული ნახევარფინალში გადიოდა.

ნახევარფინალში კი, რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი რუსთავი გავიდა, რომელმაც 5-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა – 71:66.

მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქვემოქართლურმა გუნდმა პირველი ტაიმის წაგების შემდეგ მობილიზება მოახერხა და მესამე პერიოდის 10 ქულით (20:10) მოგებით სოლიდურ ლიდერობას დაეპატრონა.

ბოლო მეოთხედში საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ქუთაისელები ჩამორჩენის გაბათილებას ცდილობდნენ, თუმცა რუსთაველები საიმედოდ თამაშობდნენ და მასპინძლების ყოველ მცდელობას ახშობდნენ. გადამწყვეტ ეპიზოდში გამარჯვებისთვის საჭირო ქულები ჩააგდეს ნიკოლა გაჩეშამ და ლაშა გამყრელიძემ.

26 ქულითა და 13 მოხსნით რუსთავს ამერიკელმა კაილ ტურპინმა ულიდერა. 16 ქულა და 8 მოხსნა სერბმა ნიკოლა გაჩეშამ მიითვალა, ხოლო 12 ქულა ლაშა გამყრელიძის ანგარიშზეა.

ბათუმი – ოლიმპი 79:73
(24:15; 22:18; 19:28; 14:12)

საქართველოს თასის გათამაშების მესამე ნახევარფინალისტი ბათუმია. აჭარულმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ოლიმპი და საუკეთესო ოთხეულში ადგილი მოიპოვა.

დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ბათუმელებმა ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ ყურადღება მოადუნეს და თბილისურ გუნდს წარმატების შანსიც მიეცა, თუმცა მასპინძლებმა გადამწყვეტი წუთები მობილიზებულად ჩაატარეს და დაძაბულ ფინალში 79:73 იმარჯვეს.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 24:15 იმარჯვეს, ხოლო მეორეში უპირატესობა 13 ქულამდე გაზარდეს და დიდ შესვენებაზე მასპინძლებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ – 46:33. ბათუმელები მწყობრად თამაშობდნენ შეტევაში, რაც აკაკი დვალიშვილის დამსახურება იყო. ეს უკანასკნელი ფარქვეშ გამორჩეულად აქტიურობდა და ქულებთან ერთად მოხსნებსაც უხვად იხვეჭდა.

მესამე პერიოდში შეტევაში მოუმატა და თამაში გამოაკეთა. უკანახაზელ ჯერემი ბაინუმის შედეგიანობით თბილისურმა გუნდმა ათწუთიანი 28:19 მოიგო და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა. ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 65:61 იგებდნენ.

ბოლო მეოთხედში თამაში გათანაბრდა, ბათუმელებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ და ამ ამოცანას აჭარელებმა წარმატებით გაართვეს თავი.

დასკვნით წუთებში შედეგიანად ითამაშეს აკაკი დვალიშვილმა და ირაკლი მიქელაძემ, რის შემდეგაც ბათუმელებმა მატჩი 6 ქულით მოიგეს და თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

ბათუმელთა შორის 30 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი, ბესო ლეჟავამ 16 ქულა დააგროვა, ხოლო ლეონიდ სტეპანიშინის ანგარიშზე 10 ქულა და 7 პასი დაგროვდა.

ოლიმპში 27 ქულით ჯერემი ბაინუმი გამოირჩა, თუმცა გუნდს ვერ უშველა.

ბათუმი მოედნის უპირატესობით ნახევარფინალში სოხუმს შეხვდება, ხოლო რუსთავის მეტოქე აკადემიასა და ვითას დაპირისპირებაში უნდა გამოვლინდეს.

სეზონისთვის მზადება გახურდა

უმაღლესლიგელებმა – საფეხბურთო კლუბმა საბურთალომ და თერჯოლის საპოვნელამ ამხანაგური მატჩი გამართეს და 1:1 დაასრულეს.

საბურთალო გიორგი ხარაიშვილმა ზუსტი დარტყმით დააწინაურა, თუმცა ცოტა ხანში მეორე წრისთვის საკმაოდ მოძლიერებულმა თერჯოლელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

ამ მატჩის შემდეგ გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა გეზი თურქეთისკენ აიღეს. ორი კვირის განმავლობაში მოემზადებიან. მთავარმა მწვრთნელმა შეკრებაზე 25 ფეხბურთელი იახლა. ჩამონათვალში მოხვდა 16 წლის ფორვარდი გიორგი ივანიაძე.

ეს მატჩი გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

საბურთალო: ჩოჩიშვილი, იაშვილი, მარგველაშვილი, თოთაძე, ჩაბრაძე, ელვინ ტერა, ცაცკრიალაშვილი, ხარაიშვილი, ხორხელი, ფანცულაია, სოფრომაძე

მეორე ტაიმში შევიდნენ: სანიკიძე, ბულუხაძე, ლაკვეხელიანი, ბაკურაძე, რუხაძე, ივანიაძე

საპოვნელა: სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ჭელიძე, ნარიმანიძე, ვაჭარაძე, ქათამაძე, შარიქაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, ბუხაიძე

მეორე ტაიმი: გიორგაძე, ენდელაძე, ბერუაშვილი, ბანძელაძე, მაკარიძე, ბიბილეიშვილი, შილაკაძე, ცქიფურიშვილი, ტყეშელაშვილი.

ამავე ანგარიშით დასრულდა ამხანაგური მატჩი ქობულეთის შუქურასა და ქუთაისის ტორპედოს შორის. რიონისპირელები ბექა ტუღუშის გოლით დაწინაურდნენ, თუმცა ილია კერძევაძემ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

შუქურა: სტურუა, ტაკიძე, აფაქიძე (კალანდაძე 73), ბრაჭული (მალანია 46), ჩალაძე (ვერულიძე 73), თარხნიშვილი, მოსიაშვილი (ჩხაიძე 74), დოლიძე (ანანიძე 69), გეწაძე (ჭანუყვაძე 70), კერძევაძე (დაკარგულია 70), ლობჯანიძე (კაკალაძე 54)

ტორპედო პირველ ტაიმში: კვასხვაძე, ბურჯანაძე, მირცხულავა, მარდალეიშვილი, ნაცვლიშვილი, ფანცხავა, მამასახლისი, ტუღუში, საღრიშვილი, შინდაგორიძე, კაპანაძე

მეორე ტაიმში: ქვილითაია, კუჭუხიძე, ნიკონოვი, ნერგაძე, ქიმაძე, კვერნაძე, კლიმიაშვილი, კუხიანიძე, გოგუაძე, წილოსანი, კვარაცხელია

ტორპედო პირველია, ვინც თურქეთში გაემგზავრა. ალექსანდრ შტელინმა 24 ფეხბურთელი იახლა და თურქულ შეკრებაზე ხუთ ამხანაგურ თამაშს გამართავს: 30 იანვარს რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთან, 1 თებერვალს პრაღის დუკლასთან, 4 თებერვალს ჩერნოგორიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ პოდგორიცას მლადოსტთან, 6 თებერვალს ბულგარეთის მე-2 დივიზიონის წარმომადგენელ სტარა ზაგორას ვერეიასთან, ხოლო 9 თებერვალს სერბულ იაგოდინასთან.

ბათუმის დინამომ წელს პირველი ამხანაგური შეხვედრა ქობულეთში ფოთის კოლხეთთან ჩაატარა და 1:0 გაიმარჯვა.

მატჩის ერთადერთი გოლი 66-ე წუთზე გიორგი ბერიაშვილმა გაიტანა.

გუნდებმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

დინამო პირველი ტაიმში: ტაკიძე, ქათამაძე, აფხაზავა, გოგიტიძე, ქორიძე, შონია, ფონიავა, დიასამიძე, კაშია, აბუსელიძე, სირაბიძე

მეორე ტაიმში: ალავიძე, ჯაბიაშვილი, ტეტუნაშვილი, მგელაძე, სუხიაშვილი, თევდორაძე, ვარშანიძე, ჭკუასელი (კვანტალიანი), ქავთარაძე, გაბდოლინი, ბერიაშვილი

კოლხეთი: ძაგანია, კილასონია, გოგონაია, ჩაკვეტაძე, თ.კაკულია, ლ.კაკულია, სიჭინავა, გურეშიძე, გიგაური, თუხარელი, ნიქაბაძე

ასევე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა შარშანდელმა ჩემპიონმა გორის დილამ და 1:0 დაამარცხა ცხინვალი.

მატჩი თბილისში ეროვნული გუნდის ტექნიკურ ცენტრ ბასაზე გამართა და გორელებიდან ერთადერთი გოლი გიორგი ერისთავმა გაიტანა. მან ალან ბაგაევის წაქცევისთვის მსაჯის მიერ დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა.

დილა თბილისურ შეკრებას 30 იანვარს დაასრულებს და ამ დროის განმავლობაში კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს ბოლნისის სიონთან და სამტრედიასთან.

31 იანვარს კი, გუნდი უკვე 12 დღიან შეკრებაზე თურქეთის საკურორტო დაბა ბელეკში გაემგზავრება, სადაც ექვსი ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი.

თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება ბოლნისის სიონიც, სადაც ყაზახურ აქტობეს, რუმინულ კრაიოვასა და დანიურ ოლბორგს დაუპირისპირდება, დანარჩენი ორი მეტოქის ვინაობა კი ამ ეტაპზე უცნობია.

სიონი თურქულ შეკრებაზე 1 თებერვალს გაემგზავრება და 13 თებერვალს დაბრუნდება.

19 წლამდე ნაკრებმა ბულგარეთი დაამარცხა

საქართველო – ბულგარეთი 2:0

თბილისი. ბენდელა

1:0 მიქელთაძე (30), 2:0 ლილუაშვილი (69)

58-ე წუთზე გეორგიევმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

საქართველო: გოშაძე, ჩაჩუა (ართმელაძე 59), მამუჩაშვილი (ნემსაძე 59), ლოჩოშვილი (კამლაძე 59), კობოური, სამურკასოვი (გვარაძე 37, მაღრაძე 59), ალთუნაშვილი (ფოჩხუა 59), კოხრეიძე (კიკნაძე 46), ბიძინაშვილი (ბაშელეიშვილი 59), გოშთელიანი (ლილუაშვილი 59), მიქელთაძე (ქორიძე 59)

ბულგარეთი: მიხალოვი, მიტსაკოვი, მინკოვი, ლიასკოვი, უსეინოვი (ხრისტოვი 67), ივანოვი, პეტროვი,

ალიჩკოვი, იორდანოვი, კრაევი (ვიდევი 72), გეორგიევი

ქართველმა 19-წლამდელებმა ბენდელას სახელობის სტადიონზე გიორგი ყიფიანის ხელმძღვანელობით ამხანაგური მატჩი ბულგარეთთან გამართეს და მეტოქე 2:0 დაამარცხეს.

მატჩი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ მათივე გამარჯვებით დასრულდა.

პირველი გოლი მიქელთაძემ გაიტანა, თუმცა მანამდე ბექას ორჯერ მართებდა ანგარიშის გახსნა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ 58-ე წუთზე მეკარე გოშაძემ ალექსანდრ გეორგიევს არ გაატანინა.

მატჩის საბოლოო წერტილი ცვლილებაზე შესულმა ენვერ ლილუაშვილმა დაუსვა, რომელმაც ახლო მანძილიდან შეარხია მეტოქის კარის ბადე.

შეგახსენებთ, რომ ბულგარეთის 19-წლამდელთა ნაკრები რამდენიმე დღეა საქართველოს დედაქალაქში იმყოფება. სლავებმა პირველი ამხანაგური მატჩი ქართველ თანატოლებთან გატანილი გოლების გარეშე დაასრულეს.

შედეგები

26 იანვარი

ფეხბურთი

აფხაზეთის ეროვნული თასი

გვინეა-ნიგერია	1:0
ნიგერი-ტუნისი	0:5

ინგლისი.ჩემპიონშიპი

ბრენტფორდი-ლიდსი	1:1
ნოტინგემი-ქარ	0:0

იტალია. თასი

ალესანდრია-მილანი	0:1

საფრანგეთი. თასი

ლილი-ბორდო	5:1

ჰოლანდია.ეროვნული ჩემპიონატი

ტილბურგი-გრონინგენი	1:1
აიაქსი-ჰერაკლესი	0:0

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯაჭვები

ფერერი-მიურეი	3:6;7:6;2:6;3:6
მონფილსი-რაონიჩი	3:6;6:3;3:6;4:6

ქალები

კერბერი-აზარენკა	6:3;7:5
კონტა-ჟანგი	6:4;6:1

გია გეგუჩაძე: „ეროვნულ ნაკრებს კადრები უნდა მივაწოდოთ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ასაკობრივი ნაკრებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი დიდი ტურნირების ფინალურ ეტაპზე გასვლა და ეროვნული ნაკრებისთვის კადრების მიწოდებაა.

– ვინ იქნებიან თქვენი სამწვრთნელო შტაბის წევრები?

– ჯერჯერობით სამუშაო პროცესში ვართ და ჩემი გუნდის წევრების შესახებ უახლოეს მომავალში ვისაუბრებ.

– კლუბში და ნაკრებში ერთდროულად მუშაობის შესაძლებლობა თუ განიხილებოდა?

– საწყის ეტაპზე განიხილებოდა, მაგრამ, საბოლოოდ, სამივე მხარე შევთანხმდით, რომ ეს არ იქნებოდა სწორი.

– 17 და 19 წლამდე მწვრთნელებს როგორ შეაფასებდით?

– ამ პროცესის აქტიური მონაწილე ვიყავი და ეს ჩემი გადაწყვეტილებაც იყო. ყიფიანის და მაისურაძის ძლიერი მხარეები ვიცი და ამ სპეციალისტებს დადებითად ვაფასებ. მათი ადამიანური თვისებებიც აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. ამ ასაკში უნდა გაგრძელდეს სელექცია და გაუმჯობესდეს თამაშის ხარისხი.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

მაკაკამ მაწანწალა ლეკვი იშვილა

ინდოეთის ქალაქ ეროდის მახლობლად მობინადრე მაკაკა-რეზუსი ფეისბუქის გმირად მას შემდეგ იქცა, როდესაც უპატრონო ლეკვზე მზრუნველობა იტვირთა. მათი ფოტოსურათი სოციალურ ქსელში ინტერნეტ-მომხმარებელმა სანჯეი პენდმა გამოაქვეყნა. ამ დროისთვის ის უკვე 170 ათასმა ადამიანმა ნახა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაიმუნმა ლეკვი მთლიანად საკუთარი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ის მასთან ახლოს არ უშვებს სხვა მაწანწალა ძაღლებს და ერთი ნაბიჯითაც კი არ იშორებს გვერდიდან, მასთან ერთად ხტის ერთი ტოტიდან მეორეზე.

გარდა ამისა, მაკაკა მის გამოკვებასაც ცდილობს, სთავაზობს ხილს, მაგალითად, ყურძნის მტევანს. როდესაც გამვლელებმა მათი რძით გამასპინძლება სცადეს, მაიმუნმა რძიან ჯამთან ჯერ ლეკვი მიუშვა.

– ის ადამიანები, რომლებიც მათ ერთად ხშირად ხედავენ, ამბობენ, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება ორმხრივია, – განაცხადა ერთ-ერთმა გამვლელმა სასირ კუმარმა, რომელიც მაიმუნისა და ლეკვის ურთიერთობას თვალს ადევნებდა. მან ასევე ვარაუდი გამოთქვა, რომ შესაძლოა მაკაკს საკუთარი შვილი დაეღუპა და ამიტომ დედობრივ მზრუნველობას ლეკვის მიმართ იჩენს.

აფრიკელ მოსწავლეებს სექსის სანაცვლოდ სტიპენდიას სთავაზობენ

სამხრეთ აფრიკის პროვინცია კვაზულუ-ნატალში მდებარე უტხუკელის რაიონის მერმა დადუ მაზიბუკომ 16 წლის სკოლის მოსწავლე იმ გოგონებისთვის დააწესა სტიპენდია, რომლებმაც ქალიშვილობა შეინარჩუნეს. ადგილობრივი ხელისუფლება ფულს მანამდე გადაიხდის, სანამ გოგონები გინეკოლოგთან რეგულარული შემოწმებების დროს საკუთარ უმწიკვლობას დაამტკიცებენ.

– ჩვენ ასე გამოვხატავთ ჩვენს მადლიერებას იმ გოგონების მიმართ, რომლებიც უმწიკვლობას ინარჩუნებენ და ასევე აპირებენ ცხოვრების გაგრძელებას მომდევნო სამი წლის მანძილზე, მანამ, სანამ სწავლის დასრულების სერტიფიკატს მიიღებენ, – განაცხადა მაზიბუკომ.

ჩინოსნის თქმით, ახალგაზრდა გოგონებმა, რომლებსაც სტიპენდიის მიღება სურთ, ხელი უნდა მოაწერონ საბუთს, რომლის თანახმადაც ნებაყოფლობით აცხადებენ თანხმობას ექიმის მიერ მათ დროდადრო შემოწმებაზე.

საზოგადოებრივი მოღვაწეები, რომლებიც აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერენ, ამტკიცებენ, რომ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებაზე და გოგონების სექსუალურ აღზრდაში ახალ ეტაპად იქცევა.

ებრაელი წყვილის ოჯახური ორგიები სასამართლო გარჩევამდე მივიდა



ებრაელმა წყვილმა რაბინულ სასამართლოს მიმართა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გოგონები, რომლებიც ოჯახურ ორგიებში მონაწილეობდნენ, მეძავები იყვნენ.

მას შემდეგ, რაც მეუღლეების ასაკი 40 წელს გადასცდა, ქმარმა ცოლს განუცხადა, რომ ის მას საწოლში ვეღარ აკმაყოფილებდა, მაგრამ მას, როგორც წესიერ ადამიანს, არ სურდა მისთვის ეღალატა და ამიტომ სურდა, რომ მასთან ერთად ჯგუფურ სექსში მიეღო მონაწილეობა. ქალი მეუღლის ასეთმა შეთავაზებამ გააოგნა, მაგრამ იმის გამო, რომ მეუღლის დაკარგვა არ სურდა, მის წინადადებას დათანხმდა.

წყვილმა სახლში ორჯერ მოაწყო ორგია ახალგაზრდა და ლამაზი გოგონების მონაწილეობით, რომლებიც მამაკაცს მოჰყავდა. ცოლი იმან დააფიქრა, რომ მეუღლე უარს ეუბნებოდა მისთვის გაემხილა, თუ სად და როგორ გაიცნო მათი პარტნიორები. მეუღლის მობილური ტელეფონის დახმარებით ქალმა გაარკვია, რომ ჯგუფურ სექსში მონაწილე გოგონები მეძავები იყვნენ.

სასამართლოში მოსარჩელე ქალმა მისთვის გეტის მიცემა მოითხოვა – განსაკუთრებული საბუთი, რომელსაც იუდაიზმში ყოფილი ქმარი აძლევს ყოფილ ცოლს განქორწინების პროცესის დროს, ასევე კომპენსაცია ნახევარი მილიონი შეკელის ოდენობით. სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

ნახევრად შიშველმა ქალმა ქარბუქში ქალაქის ქუჩებში გაისეირნა

ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქალაქ მორგანთაუნში გოგონა, რომელსაც ტანზე მხოლოდ მაისური ეცვა, თოვლიანი ქარბუქის „ჯონას“ დროს ქალაქის ქუჩაში გაისეირნა. მისი სახელი უცნობია. მომხდარის ამსახველი ვიდეორგოლი ტვიტერში სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა განათავსა.

– ყველაზე ცუდი დამცირება, რომელიც თოვლიან ქარბუქ „ჯონასს“ უხილავს, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა მომხმარებელმა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ხტუნვა-ხტუნვით მიაბიჯებს გოგონა თოვლში და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ვიღაცის თუ რაღაცის ძებნაში.

მიზეზი, თუ რატომ მოხვდა ნახევრად შიშველი გოგონა ასეთ დროს ქუჩაში, უცნობია.

თოვლის ქარბუქი აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს თავს 22 იანვარს დაატყდა, რის შედეგადაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ჯორჯიის, პენსილვანიის, ტენესის, მერილენდის, ვირჯინიისა და ჩრდილოეთ კაროლინას შტატებში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ჟოზე მაურინიო მანჩესტერ იუნაიტედს მიუახლოვდა

მანჩესტერ იუნაიტედი ახალ მწვრთნელს ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ ლუი ვან გაალი ოფიციალურად ისევ მანჩესტერშია, მის გათავისუფლებაზე ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად მიდის საუბრები.

ბრიტანული პრესის ცნობით, იუნაიტედი მოლაპარაკებებს ანარმოებს ჩელსის ყოფილ მწვრთნელთან ჟოზე მაურინიოსთან და კონტრაქტის ბევრი დეტალი უკვე შეთანხმებულია.

მაურინიო ჩელსიდან დეკემბერში გაათავისუფლეს არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო და ჯერჯერობით გუნდის გარეშეა.

მაურინიო, ჩელსის გარდა, არც ერთი ინგლისური გუნდის მწვრთნელი არ ყოფილა.

ალეშანდრე პატო ჩელსიში გადავიდა

26 წლის ბრაზილიელი ფორვარდი ალეშანდრე პატო, რომელიც წლების მანძილზე იტალიური მილანის ღირსებას იცავდა, ჩელსიში გადავიდა.

ინტერნეტში უკვე არის სურათები, სადაც პატო აეროპორტში იმყოფება და ლონდონში მიფრინავს. ბრაზილიელი ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერს ხელს კონტრაქტს.

იყო პერიოდი, როდესაც პატო ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მან გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და ბრაზილიაში დაბრუნდა, სადაც ბოლო პერიოდში კორინთიანსის ღირსებას იცავდა.

ალეშანდრე თავის ახალ გუნდს უახლოეს პერიოდში შეუერთდება.



ედენ აზარი 80 მილიონი ღირს

უკვე დიდი ხანია, დადის ხმები იმის შესახებ, რომ ჩელსის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი გუნდის გამოცვლაზე ოცნებობს. კერძოდ კი, აზარს რეალში სურს გადასვლა და იგივე სურვილი აქვს სამეფო გუნდის მწვრთნელ ზინედინ ზიდანსაც, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ აზარი თავისი გუნდის რიგებში იხილოს.

მიუხედავად ამისა, ამ ტრანსფერის განხორციელება რთული იქნება, რადგან ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა უკვე იხურება, რის შემდეგაც ამოქმედდება აკრძალვა, რომლის მიხედვითაც, რეალი ერთი წლის მანძილზე ახალ ფეხბურთელებს ვერ შეიძენს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ჩელსი აზარში 80 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს, რაც თითქმის 100 მილიონი ევროა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ელდარ შენგელაიას ვარსკვლავი გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ელდარ შენგელაიას ვარსკვლავი ბიძინა ივანიშვილმა, დავით ოქიტაშვილმა და თავად იუბილარმა რეჟისორმა ერთად გახსნეს.

ბიძინა ივანიშვილი:

– ვულოცავ ბატონ ელდარს ვარსკვლავის გახსნას. დღეს მართლაც მნიშვნელოვანი დღეა. ჩემი გამორჩეულად საყვარელი რეჟისორია გია დანელიასთან ერთად.

დათო ოქიტაშვილი:

– ვარსკვლავის გახსნა, ეს არის ადამიანების შრომის დაფასება. სულ ვამბობ, რომ ამ ვარსკვლავებს არ ხსნის დათო ოქიტაშვილი და კულტურის პალატა, ამ ვარსკვლავს ხსნის საზოგადოება, მაყურებელი, რომელმაც აღიარა და შეიყვარა ელდარ შენგელაია და მისი ფილმები.

მიშა გომიაშვილი:

– ელდარ შენგელაიას ვარსკვლავი გაიხსნა... ვულოცავ ბატონ ელდარს!!! ბატონ ელდარს ვარსკვლავი ხალხმა, მაყურებელმა დიდი ხანია გაუხსნა თავიანთ გულებში!!! უმჯობესი იქნება ფილმი დაუფინანსონ, რომ კიდევ ერთი შედევრი შექმნას ამ გენიოსმა ადამიანმა და რეჟისორმა!!!

ელდარ შენგელაია:

– ძალიან ბედნიერი ვარ. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა ამ საღამოზე, აქ დედაჩემის ვარსკვლავია და მის გვერდით რომ იქნება ჩემი ვარსკვლავი, ეს არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. დიდი მადლობა ყველას, ტელევიზიას, ბატონ ბიძინას, რომელიც მობრძანდა. სამწუხაროდ, მთავრობის წევრები არ იყვნენ, რაღაც სხდომა იყო, მაგრამ ამ ყველაფერს გადაიღებენ და ალბათ ყველა ნახავს ამ საღამოს. დიდი მადლობა ყველას.

ასტროპროგნოზი

28 იანვრისთვის

ვერძი – კოლექტიური მუშაობა სასურველი არ არის. არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. **კურო** – კარგი დღეა ნებისმიერი საქმის დასაწყებად. საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. **ტყუპები** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. შორს გამგზავრება სახიფათოა. **კირჩხიბი** – საკმაოდ პასიური დღეა. შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. **ლომი** – სრული ჰარმონია გაქვთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერული თვალსაზრისით. ნებისმიერი წამოწყება წარმატებული იქნება. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. ასევე ნუ ეცდებით ახალი სამსახურის ძებნას. **ღრიანკალი** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. სიახლეა სასიყვარულო ურთიერთობებში. **მშვილდოსანი** – დღეს შეგიძლიათ თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა, რომელიც განსაკუთრებით წარმატებულია ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. ბევრი თქვენგანისთვის სასიამოვნო ცვლილებები იწყება. **მერწყული** – გადაწყვეტილებები თქვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას და ისე იმოქმედეთ. თქვენთვის ავტორიტეტული ადამიანების აზრი მხედველობაში მიიღეთ. **თევზები** – დღე დილიდანვე დაგეგმეთ, ოღონდ ყურადღება მხოლოდ მთავარზე გაამახვილეთ. დანაპირები უთუოდ აასრულეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. თავდავიწყებამდე მისული, უკიდურესი აღფრთოვანება; 2. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი, ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 3. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 7. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 11. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 13. გულში ნადები შური, ბოღმა; 15. სატანვარჯიშო სპორტული იარაღი; 16. გზისპირა სასაუზმე ესპანეთში; 18. მომკილი ხორბლის უთავთავო ღეროები; 19. უმცროსი მატროსი გემზე.

თარაზულად: 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. მარნეულის ძველი სახელწოდება; 10. რომაული სახლების შიდა, დახურული ეზო; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 17. ეკონომიკური დაქვეითება, კრიზისი; 20. კუთხე საქართველოში; 21. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 22. უღრანი, ტროპიკული ტყე; 23. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ზოფხიტო; 2. გიდი; 3. „ციცკა“; 4. ორღანი; 6. თუთიყუში; 9. „სამაია“; 13. ჭანჭური; 14. ყარყუმი; 15. მარულა; 17. კელია; 18. ტაბლა; 20. იორი.

თარაზულად: 1. ზაგრები; 5. თართი; 7. „ცისკარი“; 8. ფიდიასი; 10. სიათა; 11. კოშმა; 12. პომადა; 16. ლავაში; 17. კრეტა; 19. ნუგა; 21. ხუცური; 22. პიკეტი; 23. „რაპიდი“; 24. ფიქალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. არკადია; 2. ორტეგა; 3. არგუმენტი; 4. ჯოყოლა; 5. ბილბორდი; 7. მოლი; 11. ლეგენდა; 13. ენოთეკა; 15. ჟოკეი; 16. მონჟი; 18. იონჯა; 19. ბრინჯი.

თარაზულად: 6. რეიმსი; 8. არტერია; 9. მაყვალი; 10. დარიალი; 12. „ლაკმე“; 14. ბაკარა; 17. ტროპიკები; 20. კანტონი; 21. ჭედილა; 22. ჯორჯია; 23. ჰიპოქსია.

ქართველმა მომღერალმა ბუდაპეშტის ფესტივალი მოიგო

„ქართველმა გოგონამ ბუდაპეშტში სიმღერის IV საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა“ – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი უნგრეთში საქართველოს საელჩომ.

14 წლის ნინი მუჯირიშვილი-ნემსაძე 15 ქვეყნის 49 კონკურსანტს შორის გამარჯვებული გახდა. ცოტა ხნის წინ ნინიმ ერევანში ჩატარებულ ხელოვნების ფესტივალზე „მინორა“ მომღერალთა შორის გრანპრი მოიპოვა და სწორედ იქ მიიღო მიწვევა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის სიმღერის IV საერთაშორისო ფესტივალზე.

ფესტივალის გამარჯვებული კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომელიც 10 ქვეყნის კულტურის სფეროს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან შედგებოდა.

ფესტივალის პრეზიდენტია უნგრეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, მომღერალი და პედაგოგი ედრიენ იუნეკია. გამარჯვებულ ქართველ მომღერალს გადასცეს დიპლომი და ფესტივალის მთავარი პრიზი სვაროვსკის დიდი კრისტალით. საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა უნგრეთში ნინის გამარჯვება მიულოცეს და სპეციალური მიღებაც მოუწყვეს.

ასაკის სიმცირის მიუხედავად, 14 წლის ნინი არაერთი საერთაშორისო კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებულია. ის თავისი ჯილდოების ჩამონათვალის გაზრდას სხვადასხვა სიმღერის საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებებით აპირებს.

ლიტერატურული კონკურსი „საბა“ დაიწყო

ლიტერატურული კონკურსი „საბა 2016“ დაიწყო. წლევანდელი, რიგით მე-14 „საბა“ ბევრი სიახლით იქნება გამორჩეული. ათის ნაცვლად, თორმეტი გამარჯვებული, ავტორიტეტული ლიტერატორებისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო, ფართო საზოგადოების ჩართულობა კონკურსის მსვლელობისას – ეს ის ცვლილებებია, რომლებიც წლევანდელ „საბას“ კიდევ უფრო საინტერესოს და პრესტიჟულს გახდის.



კონკურსზე წიგნების წარდგენა უკვე შეუძლიათ ავტორებსა და გამომცემლებს. საკონკურსო განაცხადების მიღება 12 თებერვალს დასრულდება, რის შემდეგაც „საბას“ ჟიური წიგნების განხილვას შეუდგება და გასული წლის ლიტერატურულ მოსავალს შეაფასებს.

მრჩეველთა საბჭო შეარჩევს „საბას“ წლევანდელ ჟიურის, რომლის ვინაობაც, ტრადიციულად, დაჯილდოების ცერემონიაზე გაცხადდება.

წელს პირველად, „საბას“ ერთ-ერთ გამარჯვებულს მკითხველები გამოავლენენ. ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება გამარჯვებულის არჩევაში ივლისიდან ჩაერთვება, როდესაც ჟიური დაასახელებს კონკურსის ფინალისტებს ყველა ნომინაციაში. ნომინაცია „საუკეთესო დებიუტი“ გატანილი იქნება საჯარო შერჩევაზე და მკითხველები თავისი რჩეული დებიუტანტებისთვის ხმის მიცემას 2 თვის განმავლობაში შეძლებენ.

მკითხველების მიერ არჩეული ლაურეატი, ჟიურის მიერ გამოვლენილ სხვა გამარჯვებულებთან ერთად, სექტემბერში დაჯილდოების ცერემონიაზე დაჯილდოვდება „საბას“ პრიზითა და ფულადი პრემიით.

ჟიური ტრადიციულად დაასახელებს თავის რჩეულს დებიუტის ნომინაციაშიც. შედეგად, წელს „საბას“ ორი გამარჯვებული დებიუტანტი ეყოლება, ჟიურის რჩეული და მკითხველის რჩეული.

ლიტერატურულ პრემიას ერთი დამატებითი ლაურეატი და ახალი ნომინაცია „საუკეთესო ელექტრონული წიგნი“ ემატება. საუკეთესო ელექტრონული წიგნისათვის სპეციალური პრემია დააწესა „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლმა. ამ ნომინაციის გამარჯვებული, სხვა ლაურეატების მსგავსად, „საბას“ პრიზითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდება.

საკონკურსო წიგნების სია გამოქვეყნდება „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლში, სადაც კონკურსის მსვლელობის პარალელურად, განთავსდება საკონკურსო წიგნების ელექტრონული ვერსიები და საზოგადოებას საშუალება ექნება, შეიძინოს და გაეცნოს მათ.

ოპერის თეატრის გახსნა დაპირისპირების მიზეზი გახდა

30 იანვარს განახლებული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი იხსნება. პირველ დღეს ღონისძიებაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით არის შესაძლებელი. სწორედ ეს გახდა ქართველ საზოგადოებაში დაპირისპირების მიზეზი.

განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დავით კინწურაშვილის განცხადებამ:

– მოვლენა იმდენად დიდია, ჩვენ ყველა ადამიანი მოვიწვიეთ, ვინც ამ დღეს თეატრში შეიძლება მოხვედრილიყო. ჩვენ მაქსიმალური აქცენტი გავაკეთეთ საზოგადო მოღვაწეებზე თეატრალური მიმართულებით და იმ ადამიანებზე, ვინც ღირსია, რომ ეს დღე ნახოს. ჩვენ მოვიწვიეთ მხოლოდ ის ადამიანები და კომპანიების ხელმძღვანელები, ვინც ამ თეატრის აშენებაში მიიღო მონაწილეობა.

ფრაზამ „ვინც ღირსია, რომ ეს დღე ნახოს“ არა მარტო რიგითი მაყურებლების, არამედ ცნობილი ადამიანების გაღიზიანებაც გამოიწვია.

საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი თვლის, რომ ამის უფლება არავის აქვს:

– ძალიან მაინტერესებს, ვის რა უფლება ან კომპეტენცია გააჩნია, რომ განსაზღვროს, ვინ უნდა შევიდეს ან არ შევიდეს თეატრში, რომელიც ყოველთვის ხალხის საყვარელ ადგილად ითვლებოდა! უბედნიერესი ვარ, რომ თეატრი ამდენი წლის მერე, როგორც იქნა, იხსნება, მაგრამ ასეთი განცხადება უადგილოა და მაპატიეთ, მაგრამ სამარცხვინოც!

საოპერო დასის წამყვანმა სოლისტმა ნიკოლოზ ლაგვილავამ პრემიერაზე დასწრებასთან დაკავშირებულ დებატებს ოფიციალური განცხადებით უპასუხა:

– ვეხმაურები ოპერის გახსნასთან დაკავშირებულ დებატებს და აურზაურს, მე, როგორც ოპერის ერთერთი წამყვანი სოლისტი და საპრემიერო სპექტაკლის მონაწილე, ვაცხადებ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მაყურებლის (პუბლიკის) დაყოფა ჯგუფებად, ვინ არის ღირსი და ვინ არა...

გავრცელებულ ბრალდებებს დავით კინწურაშვილმაც უპასუხა:

– საზოგადოების მაღალი ინტერესებისა და განსაკუთრებული ვნებათაღელვის, ასევე იმის გამო, რომ ხშირად არასწორი ინფორმაცია ვრცელდება, რამაც შეიძლება საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულისტკივილი გამოიწვიოს, გადავწყვიტე, მცირე კომენტარი გავაკეთო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით:

პირველ რიგში, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ თეატრის საზეიმო გახსნის ღონისძიება გაგრძელდება არა ერთ ან ორ დღეს, არამედ ორ კვირაზე მეტხანს, მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე.

მოგეხსენებათ, ეს მოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოების მოლოდინი არის გრანდიოზული, ვინაიდან თეატრი იხსნება ექვსწლიანი პაუზის შემდეგ.

გახსნის პირველ დღეს, 30 იანვარს მოწვეულნი არიან ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრები, საქართველოს მუსიკალური წევრები და საქართველოს მუსიკალური და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები – ღვაწლმოსილი მუსიკოსები და მსახიობები.

მოწვეულნი არიან ასევე უცხოელი სტუმრები, რომლებთანაც თეატრს საქმიანი კონტაქტები აქვს, ასევე მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებსაც ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვნით ჩვენი თეატრის რეკონსტრუქცია-განახლებაში და საპატრიარქოს წარმომადგენლები.

საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე დასწრებას ფართო აუდიტორიას ჩვენ ვთავაზობთ 31 იანვარს და მომდევნო დღეებში. ყოველი დღე იქნება არანაკლებ ბრწყინვალე და შემოქმედებითი თვალსაზრისით არანაკლებ აქტიური, ვიდრე წინადღე და დაგვირგვინდება არაჩვეულებრივი საბალეტო წარმოდგენით „გორდა“ 12, 13 და 14 თებერვალს.

ატეხილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა კულტურის სამინისტროც:

– 30 იანვრიდან, 6 წლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა საზეიმოდ იხსნება. ბუნებრივია, ოპერის შენობა არ იძლევა საშუალებას, რომ ყველა მსურველი გახსნის პირველივე დღეს დაესწროს პრემიერას, შესაბამისად მივიღეთ გადაწყვეტილება სამი საპრემიერო ჩვენების გამართვასთან დაკავშირებით.

გვსურს განვაცხადოთ, რომ გახსნის პირველ დღეს დაგეგმილ ღონისძიებაზე დამსწრეთა ნუსხა ოპერისა და ბალეტის ადმინისტრაციამ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ერთობლივად შეადგინა.

მოწვეულია მრავალრიცხოვანი დასის ყველა წევრი, შემოქმედებითი კოლექტივი, მსახიობები, მუსიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, დიდი ქართველი კომპოზიტორების ოჯახის წევრები და შთამომავლები, უცხოელი სტუმრები, მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსი. საპრემიერო ჩვენებაზე მოსაწვევებით დასწრება საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკა და აპრობირებული მეთოდია.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გახსნა ჩვენი ეროვნული ზეიმია. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომდევნო საპრემიერო ჩვენებებზე დასწრების ასეთივე მაღალი ინტერესი იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, დერმატოვენეროლოგის, ქალბატონ

ეთერ ჭრიფონის ასულ გამსახურდიას

გარდაცვალებას.

ღირსეული ქალბატონი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დერმატოლოგიურ განყოფილებას კლინიკის დარგში. მარადიული იქნება ქალბატონი ეთერის ხსოვნა ოჯახის, ნათესავებისა და მისი აღზრდილებისათვის.

ანდროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ექიმ-ვენეროლოგ ივანე კაპანაძეს გარდაეცვალა ბებია, დამსახურებული ექიმი, ქალბატონი

ეთერ ჭრიფონის ასული გამსახურდია

სამძიმარსა და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელას“ მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დარგის პროფესიული კავშირის ყოფილი თავმჯდომარის, ქალბატონი

ნინო ლაკიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ქალბატონი

ნინო ლაკია

ღვაწლმოსილი მუშაკი, წლების მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა სამეურნეო თუ საზოგადოებრივ საქმიანობას, სადაც კი იყო დასაქმებული.

1975 წლიდან 2005 წლამდე იყო მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე. უსამართლობასთან მებრძოლი, დასაქმებულთა მზრუნველი და მათი უფლებების დამცველი, მეგობრებისა და კოლეგების მიმართ გულისხმიერი, რამაც მას დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული მოუტანა. საქართველოს დიდი პატრიოტი, ქ.ფოთის საპატიო მოქალაქე.

მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ჭეშმარიტი მაგალითია პიროვნებისა, რომელმაც ვალი მოიხადა თავის ქვეყნის, მეგობრების, კოლეგებისა და განსაკუთრებით, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მიმართ, რომელთა აღზრდასა და ზრუნვას ემსახურებოდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

სამწუხაროდ, მხოლოდ ცრემლებით გიხდით მადლობას და გემშვიდობებით.

მსუბუქი და ნათელი იყოს თქვენთვის საქართველოს მიწისქვეშა სასუფეველი.

თქვენი მეგობრები: ლამარა მაჭარაშვილი, თამარ კახელი (ზაზაძე), ლიანა არაშიძე, თინა კუბრაძე, ნათელა თამარაშვილი, ლეილა გურგენიძე, ნანული სოხაძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 28 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის საბაბები**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩინბო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**თაკილუფლების ჯიჯინა**" (დ.ვაშინგტონი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლო ვოლკუნთან" **13.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიფა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პაპარაკალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** დ/ფ როგორ იქმნება ლეგენდა **01.00** მხ/ფ "**პაბრული**" (მ.პენია) **03.05** ერთხელ საქართველოში **04.25** მხ/ფ "**ამერიკელი ცოლი**" (კ.ფერტი)

06.00, 19.55სერ. "**ალთქმა**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** პროფილი **23.30** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.00** Discovery. "არაჩვეულებრივი ძმები კულინარები" **10.00** ან/სერ. "**აპაბარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ."**ახალი გოგო**". სეზ. **4,** სერ. **4, 6, 7. 15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" სერ **4, 6, 7. 15.30** Discovery. "არაჩვეულებრივი ძმები კულინარები" **16.30** აირჩიე კაბა **17.00** საქორწილი გარდასახვა **17.30** ან/სერ. "**ფარსკვლავური ოჯახი**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** ბინა **18 23.30** მხ/ფ "**შამაცი**" **1.45 ID Extra** დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა **2.45 URBAN STORIES 3.35** ჯიდიპედია

06.15 ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ეჟდრეგა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** კონცერტი **17.35** დ/ფ **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-აღსარების საიდუმლო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზენი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05 , 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ბაბილანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ქარის რჩეული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4923	ევრო — 2.6974
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5528	100 რუსული რუბლი — 3.1408

ამინდის პროგნოზი 28 იანვრისთვის



კალეიდოსკოპი

ავსტრალიაში მსოფლიოს საუკეთესო რესტორნის ფილიალი გაიხსნა

სადილი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გახსნილ დანიური რესტორნის ნომას ფილიალში, რომელიც არაერთხელ იქნა აღიარებული მსოფლიოში საუკეთესო რესტორნად, მის პირველ კლიენტებს 485 დოლარი (სასმელის გაუთვალისწინებლად) დაუჯდათ.

რესტორნის სტუმრებს საშუალება მიეცათ შეფ-მზარეულის რენე რეძელის მიერ ადგილობრივი პროდუქტებისგან დამზადებული კერძები დაეგემოვნებინათ: პიკანტური ნაყოფები წყალმცენარეების ბულიონში და ნაღების პუდრით, აბალონი ზღვის სალათითა და ნიგვზით, მიდიები ნიანგის ქონის წვრილი ნაჭრებით, პტიფური ავსტრალიური ხილისგან.

კლიენტებმა რესტორანში ადგილები ჯერ კიდევ 2015 წლის 30 ოქტომბერს შეუკვეთეს, რომლებიც დაჯავშნის დაწყებიდან ოთხ წუთში გაიყიდა.

რეძელის გასტრონომიული შემოქმედების დეგუსტაცია მიმდინარე წლის 2 აპრილამდე გაგრძელდება.

ცუკერბერგმა თავისი გოგონას ახალი ფოტოსურათი გამოაქვეყნა

სოციალური ქსელის ფეისბუქის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა თავისი ახლად დაბადებული გოგონას მაქსის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც აუზში მისი პირველი ბანაობაა ასახული. სურათი, რომელზეც ბავშვი მამას უჭირავს ხელში, ცუკერბერგმა სოციალურ ქსელში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა.

ფოტოს ბიზნესმენმა დაურთო კომენტარი: „მაქსის პირველი ცურვა! ეს მას მოსწონს“. სად მოხდა ეს მოვლენა, ბავშვის მამა არ მიუთითება.

ამ მომენტისთვის აღნიშნულმა ფოტოსურათმა 2,1 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

ბრიტანელი ტაილანდში ალკომარათონს ემსხვერპლა

დიდი ბრიტანეთის მოქალაქე პიტერ ნიკოლსონი 36 საათიან ალკომარათონში მონაწილეობის შემდეგ გარდაიცვალა, რომელიც შვებულების დაწყების აღსანიშნავად მეგობრებთან ერთად ტაილანდში მოაწყო.

29 წლის მამაკაცი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც ტაილანდის გასართობ დაწესებულებებში ოთხი სათლი არაყი ენერგეტიკულ სასმელ რედ ბულთან ერთად დალია, რასაც ასევე 20 ბოთლი ლუდი და რამდენიმე ულუფა სამბუკი მიაყოლა.

სპეციალობით ინჟინერმა ახალგაზრდამ, ქალაქ ვიგანიდან საკუთარი შვებულების დაწყება, ჯერ კიდევ მანჩესტერის აეროპორტში დაიწყო, საიდანაც ბაჰგკოკში მიფრინავდა. ამის შესახებ გარდაცვლილის მეგობრებმა განაცხადეს. რეისის დროს, ყატარში გადაჯდომით ნიკოლსონი ვისკის სვამდა კოლასთან ერთად.

დილით, როდესაც მეგობრებმა მისი გაღვიძება ვერ შეძლეს, სასტუმროში პოლიციელები და ექიმები მივიდნენ. სიკვდილის შემდგომი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარდაცვლილის ორგანიზმში 100 მილილიტრ სისხლზე 341 მიკროგრამი ალკოჰოლი მოდიოდა.

ნიკოლსონის გარდაცვალების გარემოების გამომძიებელმა ელისონ მატჩმა ვარაუდი გამოთქვა, რომ რედ ბულში არსებულმა მასტიმულირებელმა ნივთიერებამ ალკოჰოლური თრობის დაფარვას შეუწყო ხელი და ამიტომ ვერც თავად პიტერმა და ვერც მისმა მეგობრებმა ვერ მოახერხეს ადეკვატურად შეეფასებინათ მისი მდგომარეობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია გეგუჩაძე: „ეროვნულ ნაკრებს კადრები უნდა მივაწოდოთ“

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედია ცენტრში სფფ-ს პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა 21 წლამდე ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, გია გეგუჩაძე წარადგინა, რომელთანაც ხელშეკრულება 2018 წლამდე გაფორმდა.

გეგუჩაძე პარალელურად ასაკობრივი ნაკრების სპორტული მიმართულების ხელმძღვანელიც იქნება.

გია გეგუჩაძე:

– დინამოდან წასვლა იოლი არ ყოფილა. მადლობა სფფ-ს ხელმძღვანელობას და პირადად ბატონ ლევანს გამოცხადებული ნდობისთვის.

– რა გეგმები დაისახეთ ნაკრებთან ერთად?

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ბარსელონამ ნოლიტოს შეძენა გადაიფიქრა

ბარსელონა საკმაოდ აქტიურად ცდილობდა სელტას ფეხბურთელის ნოლიტოს გადმობირებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი არ შედგება.

სელტას ხელმძღვანელობა ნოლიტოში 18 მილიონ ევროს ითხოვს, ბარსელონა კი ამ თანხის გადახდას არ აპირებს.

5 წლის წინ ნოლიტო სწორედ ბარსელონას ღირსებას იცავდა, მაგრამ მაშინ მან კატალონიურ გუნდში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო.

ნოლიტოს მიმართ ინტერესს ბევრი სხვა გუნდიც იჩენს, რადგან წლევანდელ სეზონში ნოლიტო შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს და სელტას ნამდვილი ლიდერია.

მიმდინარე სეზონში მან 8 გოლის გატანა და 5 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო. ამჟამად ნოლიტოს ტრავმა აქვს, რაც სელტას თამაშზე უკვე უარყოფითად აისახა.

ბ.ბ.

ელდარ შენგელაიას ვარსკვლავი გაუხსნეს

83 წლის შესრულება ქართული კინოს ლეგენდარულ რეჟისორს ელდარ შენგელაიას კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ სახელობითი ვარსკვლავის გახსნით მიულოცეს.

საქართველოს სახალხო არტისტს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, კანის ფესტივალის კლასიკოსს ვარსკვლავი კულტურის პალატამ ქართველი საზოგადოების მოთხოვნით გაუხსნა.

ვარსკვლავის საზეიმო გახსნამდე კინოთეატრ რუსთაველში ელდარ შენგელაიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომლის რეჟისორიც გოჩა კაპანაძე იყო. საიუბილეო საღამოს და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალს ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად, ელდარ შენგელაიას ოჯახის წევრები, ქართველი ხელოვანები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ფილმის „ელდარ შენგელაია“ ჩვენება. კინოჩვენების რეჟისურაზე ბასა ფოცხიშვილმა იმუშავა. საღამოს თავისუფალი თეატრის მსახიობი კახა მიქიაშვილი უძღვებოდა.

იუბილარი რეჟისორისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ელდარ შენგელაია და მისი ფილმის გმირები, ანსამბლი „რუსთავი“,

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი, ნინო ანანიაშვილი და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები. სუხიშვილების მონაწილეობით შესრულდა ცეკვა „ხორუმი“, რის შემდეგაც ქართველმა პრიმა-ბალერინამ, ნინო ანანიაშვილმა, დასთან ერთად ვარსკვლავის წინ საბალეტო ნომერი შეასრულა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იუმორი

...

მთვრალი მამაკაცი გუბეში ზის. ამ დროს პატრული გამოივლის და ეკითხება:

– აქ რას აკეთებ?

– შენ ვინ ხარ? – კითხვა შეუბრუნა მთვრალმა.

– პატრული ვარ.

– საზღვაო თუ სახმელეთო?

– სახმელეთო.

– მაშინ საზღვაო საქმეში რატომ ერევი?!

•••

ოსი ექიმთან მივიდა და ეუბნება:

– სენი წილიმე, ექიმო, ლაგაცა უნდა გაცვენო და ალ გაიცინო ლა!

– რა პრობლემაა, მაჩვენე, – უპასუხა ექიმმა.

ოსმა შარვალი ჩაიხადა და ექიმს თავისი, ლამის მიკროსკოპული სიმდიდრე აჩვენა.

ექიმი სიცილისგან ისე ჩაბჟირდა, ლამის სკამიდან გადმოვარდა.

ოსს ეწყინა და ეუბნება:

– ლა გაცინებს!

ექიმი როგორც იქნა დაწყნარდა და ეკითხება:

– რა გაწუხებთ?

– გამისივდა, სენი წილიმე...

•••

ბარში შესული სოფელი ლამაზ გოგოს ჩაუვლის, მოუტრიალდება და ეუბნება:

– შენ ერთი ნახვით შეყვარების გჯერა თუ კიდევ ჩამეკიარო?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასი, მითხარი, ოღონდ გულახდილად, რას განიცდი ჩემ მიმართ?

– მოთმინებას, უზარმაზარ მოთმინებას!

•••

კაცს ეკითხებიან:

– რომელი მთავრობა სჯობია – სააკაშვილის თუ ივანიშვილის:

– სამივე რისი მაქნისია, რო?!

– კი მაგრამ, მესამე რა შუაშია?

– რა, არ მოვა თუ?!

•••

კაცი ქუჩაში ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, ამ დროს თავზე პოლიციელი დაადგება და ეუბნება:

– ჰაა, დაგიჭირო ახლა?

– არა, გმადლობ, მიჭირავს უკვე.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– გადასარევად. და შენ?

– მე გადავირიე უკვე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ↓



შვეულად: 1. უკიდურესი, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტაცება; 2. სამკითხაო ბანქო; 3. საწვავად, სასუქად გამოყენებული, ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 4. კვერცხისგან მომზადებული კერძი; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 9. იაპონური, ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 15. სრული, მონური დამოკიდებულება ვინმეზე; 17. შრომის სადიდებელი ქართული ხალხური სიმღერა; 18. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მატყლის სართავი პრიმიტიული ხელსაწყო.

თარაზულად: 1. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 5. ლუთერანული ეკლესია; 7. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 8. სპორტული სირბილი მოკლე დისტანციაზე; 10. აზროვნების ორგანო; 11. მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაწილი; 12. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. კაზაკთა სოფელი; 17. მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდარი; 19. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 21. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 22. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. მთიანეთი აზიაში; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა